გაზეთი ზევრიას, „ვერსიას" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№123 (1018) 12 – 14 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

თიბისი ბანკისა და კონსტანტას კონსოლიდაცია 2015 წლის იანვარში იურიდიულად გაფორმდება გვ.7

თიბისი ბანკი
TBC BANK

გივი თარგამაძის „აღიარებითი ჩვენება“

„ყველაფერს ჩვენ ნუ დაგვაბრალებენ... არც მორგის სანიტარი ვყოფილვარ. სასწრაფოზე ვიმუშავე 3 წელი და საოპერაციო ბლოკში ვიყავი სანიტარი, მაგრამ დასაცინს ვერაფერს ვხედავ...“

გვ. 5–6

„კარგია, რომ „ბალასტი“ ჩამოგვშორდა. უფრო კარგი კი ისაა, რომ პარტიის ბირთვი შეკრული დარჩა. მძიმე, ზამთრის პერიოდში ვართ და აქედან რომ გამოვალთ, გაზაფხულზე რაც უნდა მოხდეს, აღარაფერი გაგიკვირდეთ... ბევრ რამეში პიონერები ვიყავით და შეცდომების დიდი გზა გავიარეთ...ჩვენი მთავარი შეცდომა ისაა, რომ ხალხს აღარ ვუსმენდით. ის, რაც ციხეებში მოხდა, ვთქვათ, ე.წ. კარანტინის დაშლა, რაც ამ ფორმით მართლა ხდებოდა, ძალიან ცუდი იყო.

რაზე იხდის ბოდიშს, ვის ამხელს და კიდევ ვის ემუქრება სულის ამოხდით ნაციონალი დეპუტატი

„თუ არსებულ მოდელს შევცვლით, ქვეყანაში სტრასბურგის სასამართლოს მივიღებთ!“

ვინ დაუქერს მხარს პარტია „ოცნების“ კანდიდატს პარლამენტში და როგორ აპირებს საკონსტიტუციო სასამართლოს შეცვლას მერაბ ცურავა

გვ. 4

„პოლიტიკაში კომპრომატებით არასოდეს მიბრძოლია“

გვ. 3

„გადავწყვიტე, ციხეში 25 წელი უნდა იჯდე!“

როგორ იძია შური ძმის მკვლელზე იურისტმა და რა მეთოდებით უმაცებდნენ „სროკს“ ციხეში

პატიმრის დღიური

გვ. 6

რატომაა მნიშვნელოვანი კოოპერატივში გაწევრიანება

რა პროექტებს ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

გვ. 8

„საქართველოსა და სომხეთს შორის არსებობს ურყევი ნება, უფრო განვამტკიცოთ ურთიერთობა“

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით სომხეთის პრემიერ-მინისტრი ჰოვიკ აბრაჰამიანი ეწვია. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა.

შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნი. სომეხ კოლეგას და სომხეთის მთავრობის წევრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მინისტრებთან ერთად დახვდა.

ვიზიტის ფარგლებში, ჰოვიკ აბრაჰამიანი და ირაკლი ღარიბაშვილი პირისპირ შეხვდნენ. საქართველოსა და სომხეთის მეგობრული ურთიერთობები, მოქმედი სავაჭრო რეჟიმის შენარჩუნება და ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება იყო ძირითადი თემები, რომელზეც პრემიერებმა იმსჯელეს. ირაკლი ღარიბაშვილმა ჰოვიკ აბრაჰამიანს მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

მხარეებმა ასევე განიხილეს კულტურის სფეროში მიმდინარე თანამშრომლობა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

საქართველოს პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით: **„ჩვენ, როგორც ორ მეგობარ ქვეყანას, გვამოძრავებს ურყევი ნება და მისწრაფება, გავაგრძელოთ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ“. შეხვედრის შემდეგ, ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა მედიისთვის ერთობლივი განცხადებებიც გააკეთეს.**

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, საქართველოსა და სომხეთს შორის არსებობს ურყევი ნება, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა მეტად განმტკიცდეს. ირაკლი ღარიბაშვილმა ჰოვიკ აბრაჰამიანს საქართველოში სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მისი ბოლო ვიზიტი სომხეთში საკმაოდ ნაყოფიერი იყო: „მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი იანვრიდან გახდება ევრაზიული კავშირის წევრი და ჩვენ, საქართველომ ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ჩვენს შორის ურთიერთობებს ეს არ შეეხება. პირიქით, ჩვენ ამას გამოვიყენებთ ჩვენი ქვეყნებისთვის, ჩვენი ინტერესებისთვის. ასევე ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებთ ორ ქვეყანას შორის მოქმედ სავაჭრო ურთიერთობის შენარჩუნებას და ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას. დღევანდელმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის არსებობს ურყევი ნება და მისწრაფება, უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ურთიერთობები და გავაგრძელოთ თანამშრომლობა“.

პრემიერმა კოლეგას სადილზეც უმასპინძლა. ვიზიტის მეორე დღეს კი, 12 დეკემბერს, სომხეთის მთავრობის მეთაური საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შეხვდება, გმირთა მოედანზე გვირგვინით შეამკობს გმირთა მემორიალს, ასევე ეწვევა გრიგორიანულ ეკლესიას. სომხეთის სამთავრობო დელეგაცია თბილისს დღეს დატოვებს.

„ვერსიანიუსი“

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებად თემურ მღებრიშვილი და არჩილ თალაკვაძე დაინიშნენ

ამასთან, ალექსანდრე ჭიკაიძის პირველი მოადგილე, მისი ერთ-ერთი მოადგილე ვახტანგ გომელაური გახდა. რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ზედელაშვილს, იგი უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა. თემურ მღებრიშვილის ადგილას, რომელიც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანამდებობას იკავებდა, კვლავ ანზორ ჩუბინიძე დაბრუნდა.

რაც შეეხება არჩილ თალაკვაძეს, რომელიც ალექსანდრე ჭიკაიძის მოადგილედ დაინიშნა, იგი მანამდე სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

შიდასაკადრო გადაადგილებების შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მიაწოდა. პრემიერს მიაჩნია, რომ შიდასაკადრო გადაადგილებები ინსტიტუციების განვითარებას დაეხმარება. მისი თქმით, მიღებულია კანონი უსაფრთხოების საბჭოს შესახებ და ახლა ეს საბჭო მაქსიმალურად უნდა გაძლიერდეს: **„საჭირო იყო გარკვეული რეფორმების დაწყება. საბჭოს მდივნად დავით სუჯაშვილი დაინიშნა, ხოლო მის მოადგილედ შს მინისტრის მოადგილე გიორგი ზედელაშვილი“.**

ღარიბაშვილისვე განცხადებით, შსს-ს რეფორმირება და მისგან უსაფრთხოების სამსახურების გამოყოფა იწყება: **„აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ეს ცვლილებები უფრო დაეხმარება ინსტიტუციების განვითარებას“.**

„პირველი“

„ჯორჯიან ეარვეისი“ თბილისი-მოსკოვის მიმართულებით ფრენებს აღადგენს

კომპანიის საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარის, ხომალდის მეთაურის დავით მიკუჩაძის ინფორმაციით, ფრენები დღეიდან, 12 დეკემბრიდან აღდგება. როგორც მიკუჩაძე აღნიშნავს, საქართველოს მთავრობასთან საინიციატივო ჯგუფის კონსულტაციები გაიმართა, რის შემდეგაც გაფიცულმა თანამშრომლებმა მიიღეს პირობა, რომ მათ მოთხოვნებს განიხილავენ და სათანადო გადაწყვეტილებებს მიიღებენ. საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით: **„ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელიც ეხებოდა ფრენის სიხშირეს თბილისი-მოსკოვის მიმართულებით, გადაწყდა. ჩვენც გადავწყვიტეთ, 12 დეკემბრიდან აღდგება ჩვენი კომპანიის ფრენები თბილისი-მოსკოვის მიმართულებით.**

საინიციატივო ჯგუფი დანაპირების შესრულებას ელოდება ორშაბათიდან, 15 დეკემბრიდან ეტაპობრივად. მანამდე, ვწვეტთ აქციებს. თუ 15 დეკემბრიდან არ დაიწყება ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება, გავაგრძელებთ მასშტაბურ აქციებს“.

„პირველი“

ჰარვარდის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ცენტრი დაფუძნდება

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორებს — სტივენ ჯონსს, ტერი მარტინს, ალექსანდრა ვაროუს და ტიმოთი კოლტონს შეხვდა.

მათი ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა ჰარვარდის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ცენტრის დასაფუძნებლად, სადაც ამერიკელი სტუდენტები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, მკვლევარები მიიღებენ საფუძვლიან ცოდნას საქართველოს შესახებ და ზოგადად, კავკასიის რეგიონზე. ასევე, ქართველ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ექნებათ შესაძლებლობა, გააღრმავონ ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

შეხვედრაზე ისაუბრეს აღნიშნული ცენტრის მნიშვნელობაზე ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარებისთვის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და კულტურული მიმართულებით. ფინანსთა მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ მალე მოიძიებენ შესაბამის რესურსებს, რათა აღნიშნულმა ცენტრმა ფუნქციონირება დაიწყოს.

„პირველი“

ამერიკა საქართველოს, სამხედრო სფეროს განვითარებისთვის, 30 მილიონ დოლარს გამოუყოფს

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სენატმა და წარმომადგენლობითმა პალატამ 10 დეკემბერს 2015 წლის დაფინანსების პაკეტი დაამტკიცა.

როგორც უწყების სპიკერმა, დავით კერესელიძემ განაცხადა, აღნიშნულ პაკეტში საქართველოცაა გათვალისწინებული, კერძოდ, სახელმწიფო დეპარტამენტის სამხედრო დაფინანსების პროგრამა საქართველოსთვის 30 მილიონის გამოყოფას გულისხმობს.

ასევე, არსებობს მეორე — ევროპის მხარდაჭერის ინიციატივა, რომელიც უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოსთვის 57 მილიონის გამოყოფას დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისთვის გულისხმობს.

კერესელიძის განმარტებით, მოგვიანებით გახდება ცნობილი, როგორ გადანაწილდება ეს თანხა ამ სამ ქვეყანაზე: **„მნიშვნელოვანია, რომ აშშ ყურადღებით აკვირდება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ის კარგად იცნობს რეგიონში არსებულ ვითარებას და მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებას. ვაფასებთ ამ მხარდაჭერას და მადლობას ვუხდით ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს“.**

პაკეტის დამტკიცებას მხარი, რესპუბლიკელებთან ერთად, „დემოკრატებმაც“ დაუჭირეს.

„პირველი“

ლიტვის ქალაქ თრაკაიში ქართული კულტურის დღე გაიმართა

ქალაქის მცხოვრებლებსა და მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოს უძველეს ტრადიციებს, კულტურას, ენას, ისტორიას, თანამედროვე ქართულ ცხოვრებასა და საქართველოს ტურისტულ პოტენციალს. „საქართველოს დღე“ ლიტვაში საქართველოს საელჩოსა და თრაკაის მერიის ორგანიზებით გაიმართა.

ღონისძიება ლიტვაში საქართველოს ელჩმა ხათუნა სალუქვაძემ და თრაკაის მერმა ედიტა რუდელიენემ გახსნეს. გახსნის ცერემონიაზე ასევე მოიწვიეს თრაკაის საჯარო სკოლების მოსწავლეები. ელჩი მოსწავლეებს საქართველოს ისტორიაზე, ქართულ ენასა და კულტურაზე ესაუბრა. ქართული ენის ისტორიის შესახებ მოსწავლეებს ინფორმაცია მიაწოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნინო შარაშენიძემ, რომელიც ვილნიუსის უნივერსიტეტში ქართული ენის შემსწავლელ კურსს ხელმძღვანელობს. „საქართველოს დღის“ ფარგლებში წარმოდგენილი იყო ფოტოგამოფენა „თვალისმომჭრელი საქართველო“. მოეწყო პრეზენტაცია საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ. ქალაქის მოსახლეობას და სტუმრებს ასევე ქართული ღვინის დაგემოვნების შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოს საელჩო „საქართველოს დღის“ გამართვას ლიტვის მრავალ ქალაქში გეგმავს.

„პირველი“

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის წარმომადგენლების შემაჯამებელი ვიზიტი გაიმართა

შსს-ში გამართულ შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, მინისტრის მოადგილე ლევან იზორია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე და საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი დაესწრნენ. CPT-ს წინა გეგმური ვიზიტი 2010 წელს შედგა, ხოლო არაგეგმური – 2012 წელს, რაც სასჯელაღსრულების სისტემაში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა და მხოლოდ ციხეებს მოიცავდა. 2010 წელს CPT-ს ვიზიტის შემდგომი რეკომენდაციები პოლიციისთვის ეხებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურას, დაკავებულთა უფლებრივ მდგომარეობასა და პოლიციის წინააღმდეგ საჩივრებზე რეაგირების სისტემის გაუმჯობესებას. შემაჯამებელი შეხვედრის ფარგლებში, CPT-ს ექსპერტებმა ქართულ მხარეს გააცნეს მათი 11-დღიანი ოფიციალური ვიზიტის დროს წარმოებული დაკვირვებების შედეგები და რეკომენდაციები, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

„ვერსიანიუსი“

„პოლიტიკაში კომპრომატებით არასოდეს მიბრძოლია“

მიაწოდა თუ არა პრემიერის გუნდის წინააღმდეგ ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილს და რა ურთიერთობა აქვს დღეს ნიკა რურუასთან ირაკლი აღასანიას

ეროსუდან შელია
557-100-768

სამთავრობო გუნდში საკადრო ცვლილებები „თავისუფალი დემოკრატების“ კოალიციიდან გასვლით არ დასრულებულა — საკმაოდ მაღალი რანგის პოსტები ძირითადად, ირაკლი ღარიბაშვილის გუნდის წევრებმაც დატოვეს. ამ ფონზე გაჩნდა ვერსია, რომ თანამდებობიდან გათავისუფლებულმა ირაკლი ალასანიამ პრემიერის გუნდის წინააღმდეგ კომპრომატები ყოფილ პრემიერს მიაწოდა. თავად თავდაცვის ყოფილი მინისტრი „ვერსიასთან“ საუბრისას ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. რა მიზნები აქვს და ვის უკავშირებს პოლიტიკურ მომავალს, „ვერსიასთან“ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია განმარტავს.

— სხვადასხვა თანამდებობაზე კონკრეტული პიროვნებების გადაადგილება ქვეყანაში არსებულ ვითარებას ვერ შეცვლის. ამ შემთხვევაში, მართვის სტილი უნდა შეიცვალოს. კერძოდ, ქვეყანა სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა მართონ და არა ერთმა არაფორმალურმა მმართველმა ბიძინა ივანიშვილმა. თუ ეს მდგომარეობა თვისობრივად არ შეიცვლება, ვითარებაც არ გაჯანსაღდება. ბოლო პერიოდში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შემდეგ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს პროცესი შიდადაპირისპირების შედეგია. ისიც აშკარაა, რომ პოსტებიდან სწორედ პრემიერის გუნდი დაითხოვეს.

— თქვენც ემხრობით ვერსიას, რომ ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ღარიბაშვილს დაუპირისპირდა?

— თანამდებობებიდან ირაკლი ღარიბაშვილის გუნდის ჩამოშორების რესურსი მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს აქვს... ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყოფილი პრემიერი დღემდე აქტიური პოლიტიკური ფიგურაა.

— ბიძინა ივანიშვილი ამ ბრალდებაზე გამოგეხმაურათ, რომ მას არ აქვს არც ირაკლი ღარიბაშვილზე და არც პარლამენტის თავმჯდომარეზე ზემოქმედების ბერკეტი. დაასახელეთ კონკრეტული მაგალითი, როდის მიიღეთ მისგან არაოფიციალური მითითება თანამდებობაზე ყოფნისას.

— ვიმეორებ, ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები ამას ადასტურებს. ბიძინა ივანიშვილის განცხადებებსა და მის ბოლოდროინდელ გააქტიურებაზე კომენტარს არ გავაკეთებ. დღეს მთლიანად „თავისუფალი დემოკრატების“ პარტიული სტრუქტურების გაძლიერებაზე ვარ ორიენტირებული. არც ისე დიდი ხნის წინ, პარტიის წევრებთან ერთად რამდენიმე რეგიონში ვიყავი, ყველა რეგიონულ წარმომადგენლობას შევხვდი... ხალხთან შეხვედრებს მომავალშიც ვაპირებთ.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ოპოზიციაში ოფიციალურად გადასვლამდე ბიძინა ივანიშვილს პრემიერის გუნდზე კომპრომატები მიაწოდეთ. ასეა?

— აბსურდია. ამ ინფორმაციას რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. სხვებისგან განსხვავებით პოლიტიკაში კომპრომატებით არასოდეს მიბრძოლია.

— „სხვებში“ ვის იგულისხმება?

— სხვები, ვინც პოლიტიკაში არიან... ჩემი პოლიტიკური ძალის თვითდამკვიდრების ერთადერთი მექანიზმი სიმართლე და ადამიანებთან დიალოგია.

— თავდაცვის სამინისტროში დაწყებული გამოძიება თქვენ წინააღმდეგ გამოყენებული კომპრომატია?

— რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდები, რომ თავდაცვის სამინისტროს დაკავებული თანამშრომლები უდანაშაულოები არიან. რაც მთავარია, არამხოლოდ საქართველოში, საერთაშორისო პარტნიორებსაც უჩნდებათ კითხვა: რატომ იმყოფებიან ისინი წინასწარ პატიმრობაში, როცა მათ გასათავისუფლებლად აბსოლუტურად ყველა წინაპირობა არსებობს? დეტალებზე საუბრის პრეროგატივას ადვოკატებს დავუთმობ, მაგრამ კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს — პროცედურები კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარდა და იმედი მაქვს, სასამართლო პროცესზე სიმართლე იზეიმებს. ამის შემდეგ კი, საქმე პროკურატურის იმ ნაწილთან მექნება, ვინც პოლიტიკური შეკვეთა მიიღო.

— კონტრდაზვერვას პროკურორების წინააღმდეგ საქმის გამოძიება სთხოვეთ. რა გამოხმაურება მოჰყვა თქვენ მოთხოვნას?

— ჯერჯერობით, პასუხი არ მიგვიღია, მაგრამ ველოდებით. ჩემი ინფორმაციით, ჯერ გამოძიებაც არ დაწყებულა...

— თავდაცვის სამინისტროში დაწყებულ გამოძიებას პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად აქტიურად იყენებთ. პარალელურად, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებსაც ითხოვთ. დღეს გაქვთ რესურსი, მთავარ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბდეთ?

— ვადამდელ არჩევნებს არ ვითხოვ. პირიქით, მიმაჩნია, რომ ყველა არჩევნები კონსტიტუციურად განსაზღვრულ ვადებში უნდა ჩატარდეს. უბრალოდ, ვერაფერს გამოვრიცხავ, შესაძლოა, ახალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობაც დადგეს, მაგრამ „თავისუფალი დემოკრატები“ კონსტიტუციური ვადების დაცვას ვუჭერთ მხარს.

— პოლიტიკური პარტნიორები უკვე შერჩეული გყავთ? თქვენ მთავარ მოკავშირეებად რესპუბლიკელები და ნიკა რურუას ჯგუფი სახელდება.

— დღეს მთლიანად დამოუკიდებელ ძალად ჩამოყალიბებაზე ვართ გადართული. რაც შეეხება სპეკულაციებს, ვიცი, ეს განცხადებები ვინც გააკეთა, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ სწორედ ამ ადამიანებმა შექმნეს ყოფილ ნაციონალებთან ერთად საპარლამენტო უმრავლესობა. ჩვენ ნაციონალებისა და „ქართული ოცნებისგან“ აბსოლუტურად განსხვავებულ ძალად ვყალიბდებით. რაც შეეხება ნიკა რურუასთან დაჯგუფებას, ეს საკითხი დღის წესრიგში არც დამდგარა. ნიკა რურუა დღეს არასამთავრობო ორგანიზაციაშია და, როგორც ვიცი, პოლიტიკური ამბიციები არ აქვს. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა როცა იგი მინისტრი იყო, მე — ელჩი. დღესაც ასეა, მაგრამ პოლიტიკურ ალიანსზე საუბარი არ ყოფილა.

— დამოუკიდებლად ბრძოლის რესურსი რამდენად გაქვთ, მით უმეტეს, საზოგადოებამ ხელისუფლებაშიც გამოგცადათ.

— ამას მომავალი კვლევები გვიჩვენებს... არ გვაქვს ყალბი ამბიციები, მაგრამ ვიცით, საზოგადოების დიდი ნაწილი ჩვენ მიმართ სიმპათიითაა განწყობილი და მხარს გვიჭერს. ამის გამყარებას ყოველდღიური მუშაობა სჭირდება. მაქვს შინაგანი რწმენა, რომ შემდეგ არჩევნებში გავიმარჯვებთ. დიახ, ჩვენ საზოგადოებამ ხელისუფლებაში გამოგვცადა და უმრავლესობამ იცის, რომ ყველა მიმართულებით წარმატებებს მივაღწიეთ. წარმატებული მენეჯერები ვართ და იმედი მაქვს, ამ ნდობას მომავალშიც შევინარჩუნებთ.

— არადა, ბოლო ერთი თვეა სწორედ თქვენი მენეჯერობა დგას კითხვისნიშნის ქვეშ.

— სწორედ ყოფილი პრემიერისა და მისი მენეჯმენტის შედეგია ის, რაც დღეს ხელისუფლებაში ხდება. მისი შეფასებები, განსაკუთრებით თავდაცვის სამინისტროს საქმიანობაზე, კარდინალურად განსხვავდება ისეთი სოლიდური სტრუქტურის შეფასებისგან, როგორიც ნატო-ა — ალიანსის შეფასებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში განხორციელებული რეფორმები საუკეთესოა და ეს სხვა პარტნიორ ქვეყნებშიც უნდა გატარდეს.

— თქვენი წასვლის შემდეგ თავდაცვის სამინისტროში კურსი შეიცვალა და დღეს ნატო-სთვის წარმატებული სტრუქტურა აღარ არის?

— ჯერჯერობით, შეფასება რთულია, რადგან თანამდებობა მხოლოდ ერთი თვის წინ დავტოვე. ეს მცირე დროა ახალი მინისტრის საქმიანობის შესაფასებლად. მთავარი ამოცანა და მიღწევაც, რომელიც თავდაცვის სამინისტროში მქონდა, ბრძოლისუნარიანობის ამაღლება და ქვეყნისთვის ახალი შეიარაღების მოპოვება იყო, რაც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაიბლოკა. ჩვენი ერთობლივი მუშაობით, საქართველოსთვის სამხედრო ბაზარი გავხსენით და მივაღწიეთ შეთანხმებებს, რომლის შესრულებაც მომავალში თუ გაგრძელდა, საქართველო ბევრად დაცული ქვეყანა გახდება. ამ პროცესს მე, როგორც მთავრობიდან წასული ადამიანი, აუცილებლად გავაკონტროლებ. სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური გარემო არ არის, რაც ნებისმიერი სფეროს განვითარებას უშლის ხელს, მათ შორის, ეკონომიკასაც. როცა ინვესტორი ხვდება, რომ ქვეყანაში გადაწყვეტილებებს არა სახელმწიფო ინსტიტუტები და საფინანსო სტრუქტურები, არამედ ერთი ადამიანი იღებს, არასტაბილურობის განცდა უჩნდება და ფულის დაბანდებაზე უარს ამბობს. შესაბამისად, სამუშაო ადგილებიც ნაკლები იქმნება. როგორც კი მართვის სისტემა დალაგდება, უამრავი პრობლემის გადაჭრა გაადვილდება. „თავისუფალი დემოკრატები“ მოსახლეობას მართვის სწორედ ასეთ სტილს ვთავაზობთ. სამწუხაროდ, ხალხს პოლიტიკურ ლიდერებთან დიალოგის დეფიციტი აქვს. სწორედ ეს ხიდია აღსადგენი საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს შორის. „თავისუფალ დემოკრატებს“ ხალხთან მუდმივი კონტაქტი გვექნება.

შსს-მ ნარკორეალიზატორი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ჯიმშერ კ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა „სუბუტექსის“ აბები და ფხვნილი, რომელსაც პერიოდულად ყიდდა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ჯიმშერ კ-მ საკუთარი საცხოვრებელი ბინიდან, სხვადასხვა დროს, ბუპრენორფინის შემცველი სხვადასხვა რაოდენობის ნარკოტიკული საშუალება 600 ლარად გაყიდა. სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა ამოიღეს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტი აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

საქართველო საერთაშორისო სატრანსპორტო შეთანხმების წევრი გახდა

საქართველოს პარლამენტმა საერთაშორისო შეთანხმების „სატრანსპორტო საშუალებების რეგულირების შესახებ“ რატიფიკაცია მოახდინა.

შეთანხმებაზე შეერთების შედეგად, საქართველოს შესაძლებლობა მიეცა მის ტერიტორიაზე წარმოებული თვლიანი სატრანსპორტო საშუალებები, მათ შორის, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, მისაბმელები, ავტობუსები, მოტოციკლები და სხვა თვითმავალი მანქანები და მექანიზმები და მათი სათადარიგო ნაწილები ავტომატურად იქნეს აღიარებული შეთანხმების წევრი 48 ქვეყნის მიერ. გარდა ამისა, საქართველოს უფლება ექნება, ავტოსატრანსპორტო საშუალებებს და მათ მისაბმელებს, მიანიჭოს საიდენტიფიკაციო 17-ციფრიანი კოდი, ჩაერთოს ერთიან მონაცემთა სისტემაში და ჰქონდეს შესაბამის ერთიან ინფორმაციაზე სრული წვდომა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, ნათია მიქელაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საქართველოში ავტომობილების წარმოება არ ხორციელდება, რამდენიმე კომპანიამ უკვე გამოთქვა სურვილი, აღნიშნული პროდუქციის წარმოება დაიწყოს, რაც საქართველოსთვის უდავოდ მნიშვნელოვანი იქნება.

შეთანხმებაზე შეერთების შემდეგ, საქართველოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, რომლებსაც ავტოსატრანსპორტო საშულებების თაობაზე ოფიციალური ტექნიკური პარამეტრები და მონაცემები ესაჭიროებათ, აღნიშნულ ინფორმაციასთან სრული წვდომა ექნებათ, რაც დღეისთვის საკმაოდ დიდი პრობლემაა.

„პირველი“

„თუ არსებულ მოდელს შევცვლით, ქვეყანაში სტრასბურგის სასამართლოს მივიღებთ!“

ვინ დაუჭერს მხარს პარტია „ოცნების“ კანდიდატს პარლამენტში და როგორ აპირებს საკონსტიტუციო სასამართლოს შეცვლას მერაბ ტურავა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

უკვე ერთ წელზე მეტია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ერთი ადგილი ვაკანტურია. ამ ხნის განმავლობაში, პარლამენტი კონსტიტუციას არღვევდა, რადგან წესით, მოქმედი მოსამართლისთვის 10-წლიანი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, მაქსიმუმ, 10 დღეში ახალი მოსამართლე უნდა აერჩიათ. საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა წევრიდან სამს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს. სწორედ პარლამენტის კვოტით იყო არჩეული ვახტანგ გვარამიაც, რომელსაც ვადა ჯერ კიდევ შარშან სექტემბერში ამოეწურა. პოლიტიკურ კულუარებში ამბობდნენ, რომ პროცესი „ოცნებაში“ ერთ კანდიდატზე შეუთანხმებლობის გამო გაიწელა. როგორც იქნა, 9 დეკემბერს პარლამენტს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ ვაკანტურ თანამდებობაზე უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლისა და სამართლის ექსპერტის, მერაბ ტურავას კანდიდატურა წარადგინა. „ვერსია“ პარლამენტში კანდიდატურის განხილვის დაწყებამდე მერაბ ტურავასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

— ახლახან ჩატარდა ფრაქცია „ოცნების“ სხდომა, სადაც ჩემი კანდიდატურა დასახელდა. მომავალი კვირის ორშაბათსა და სამშაბათს ორი, ადამიანის უფლებათა და იურიდიული კომიტეტის სხდომა ჩატარდება, სადაც ეს საკითხი გავა განსახილველად. ხოლო იმის შემდეგი კვირის ორშაბათ-სამშაბათს პლენარულ სხდომაზე კენჭისყრა ჩატარდება.

— პროცედურულად, თქვენ 1 წლის დაგვიანებით წარგადგინეს. ამის მიზეზი იცით? ამბობენ, „ოცნება“ ერთ კანდიდატზე ვერ თანხმდებოდაო.

— მხოლოდ ის ვიცი, რომ რამდენიმე დღეა, ჩემს კანდიდატურაზე შეთანხმდნენ და ეს პირველად ბიუროს სხდომაზე გაახმაურეს. კონსულტაციები მანამდეც მიმდინარეობდა და შესაძლოა, პროცესი იმიტომაც გაიწელა, რომ სხვა კანდიდატურებზეც მსჯელობდნენ. საპარლამენტო პარტიების შიდასამზარეულო არ ვიცი, თუმცა ეს ინფორმაცია ერთი წლის წინაც გაჟღერდა. მაშინ ითქვა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ მოვიაზრებოდი, ნინო გვენეტაძე კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ.

— თუმცა სწორედ ამ დღეებში, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თქვენ უნდა ყოფილიყავით, რა შეიცვალა?

— ეს ინფორმაცია ჩემამდეც მოვიდა, მაგრამ მხოლოდ მასმედიიდან. ჯერ, უზენაეს სასამართლოში, არც მოსამართლეებისა და არც თავმჯდომარის წარდგენის შესაძლებლობა არ არის. პროცედურებიც განსხვავებულია: უზენაეს სასამართლოში კანდიდატურებს პრეზიდენტი წარადგენს და მათ პარლამენტი ირჩევს, საკონსტიტუციო სასამართლოში კი კანდიდატურების წარდგენა საპარლამენტო ფრაქციასაც შეუძლია და შემდგე ისინი სიითი უმრავლესობით უნდა გავიდნენ. საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტს სულ 3 კვოტა აქვს, რომელთაგანაც ახლა თავისუფალი მხოლოდ ერთი ადგილია. უზენაეს სასამართლოში კი ცვლილებები გაზაფხულიდან იქნება. რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, ჩემთვის უცნობია, იქამდე 3 თვეა.

— ანუ შეიძლება, გაზაფხულზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედაც გიხილოთ, ახლა თუ არ აგირჩევთ პარლამენტი?

— ვერაფერს გამოვრიცხავ, თუმცა ვერც გიდასტურებთ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, მაგრამ, როცა ადამიანი თანამდებობის პირი ხდება, ყველანაირი პოლიტიკური გავლენისგან უნდა გათავისუფლდეს.

— აღნიშნეთ, პროცესი სხვა კანდიდატებზე მსჯელობამ გააჭიანურაო. ხომ არ იცით, ეს კანდიდატები ვინ არიან?

— ამის შესახებ ფრაქციის სხდომის შემდეგ ვიკითხე და როგორც მითხრეს, ფრაქციის შიგნით, სხვა კანდიდატურები არ არსებობს. კომიტეტის სხდომებზე გაირკვევა, ფრაქციებს თუ ჰყავთ კანდიდატურები. კანონით, კანდიდატების წარდგენის უფლება პარლამენტის თავმჯდომარესაც აქვს, საპარლამენტო ფრაქციებსაც და დეპუტატთა 10-კაციან უფრაქციო ჯგუფსაც. თუმცა გადაწყვეტილებას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა იღებს, ანუ 76 დეპუტატი. „ოცნება“ პარლამენტში ყველაზე დიდი ფრაქციაა და სავარაუდოდ, ყველაზე მეტი მხარდამჭერიც მას ეყოლება. თუ კანდიდატებს სხვა ფრაქციებიც წარმოადგენენ, ალბათ, ეს ხმების გაყოფასა და გადაქაჩვას გამოიწვევს.

— თავად ვის მხარდაჭერას ელით?

— ცხადია, ფრაქცია „ქართული ოცნებისა“, სხვა პარტიების პოზიცია არ ვიცი. იმედი მაქვს, რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატებიც გამომიცხადებენ მხარდაჭერას. მათთან დიდი ხნის ურთიერთობა და კარგი დამოკიდებულება მაქვს და არ მგონია, უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღონ.

— ყველამ იცის, უზენაესი სასამართლოდან თქვენი და კიდევ რამდენიმე მოსამართლის პოლიტიკური მოტივით გათავისუფლების შესახებ. დღეს რა დამოკიდებულება გაქვთ საპარლამენტო უმცირესობასთან?

— ნაციონალების მხარდაჭერის მოხარულიც ვიქნები. თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ მათთან, განსაკუთრებით ბოლო წლებში, არავითარი ურთიერთობა არ მქონია, არც მათი განწყობა ვიცი. ნაციონალ დეპუტატებს თავადაც კარგად მოეხსენებათ, რომ მათი ხელისუფლების პირობებში, სასამართლოში ბევრი დარღვევა იყო და მეც პროცედურების დარღვევით გამათავისუფლეს, უზენაესი სასამართლოს კიდევ 4 მოსამართლესთან ერთად. ეს არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და ვენეციის კომისიამაც დაადასტურა საკუთარ დასკვნაში. ამიტომ ზოგიერთი ნაციონალის ადგილას რომ ვიყო, ამ შეცდომას გამოვასწორებდი და ჩემს კანდიდატურას მხარს დავუჭერდი. ამით ისინი, თავის დროზე მომხდარი უკანონობის მიმართ საკუთარ პოზიციას გამოხატავდნენ.

— როგორ ფიქრობთ, საკონსტიტუციო სასამართლოში რა მემკვიდრეობა დაგხვდებათ?

— საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მოდელის არსებობიდან თითქმის 20 წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ვითარება შეიცვალა. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ფორმები ქვეყანაში უფრო უნდა დაიხვეწოს. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი კი გაიზარდოს, როგორც ეს ჩეხეთში, უნგრეთში, გერმანიასა და ბევრ სხვა ქვეყანაშია. იქ საკონსტიტუციო სასამართლოები არა მარტო ნორმის არაკონსტიტუციურობის საკითხს, არამედ პირთა უფლებების დარღვევებსაც განიხილავენ. ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლო სტრასბურგია ქვეყნის შიგნით ანუ ფილტრი საერთო სასამართლოებსა და სტრასბურგის სასამართლოს შორის. მე, როგორც სწავლული იურისტი და სამართლის პროფესორი, ყველაფერს გავაკეთებდი, რათა არა მარტო დღეს არსებული ფუნქციები გამყარდეს, არამედ საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოში ახალი ფუნქციები შეიძინოს. ეს საქმე 2-3 წელიწადში ვერ მოესწრება, მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი ნამდვილად იქნება. დღეს კი ჩვენს სასამართლოს შეზღუდული უფლებამოსილება აქვს. შემიძლია სასამართლოს ამა თუ იმ კონსტიტუციური მუხლის დარღვევაზე მივმართო, მაგრამ საკუთარი უფლებების დაცვა სტრასბურგის სასამართლოში მიწევს, სადაც განაჩენს წლები უნდა ველოდო. თუ დღეს არსებულ მოდელს შევცვლით, ქვეყანაში სტრასბურგის სასამართლოს მივიღებთ!

— ამჟამად, საკონსტიტუციო სასამართლოში ისევ გიორგი პაპუაშვილია, რომლის მიმართაც კითხვები არსებობს და იგი პოლიტიზებულ პირად მიიჩნევა. ამ პირობებში მუშაობას როგორ აპირებთ?

— ვფიქრობ, ეს სულაც არ გამიჭირდება, რადგან ჩემი კონკრეტული საქმეები მექნება და მათზე ვიქნები პასუხისმგებელი. საკონსტიტუციო სასამართლოში იმიტომ კი არ მივდივარ, ვინმეს ვედავო ან კონფლიქტში შევიდე, პირიქით, სწორი გადაწყვეტილებების მიღებასა და საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომ განვითარებას უნდა შევუწყო ხელი. თავმჯდომარეცა და მოსამართლეებიც იქ თავიანთი ვადით არიან გამწესებულნი. მეც ჩემი უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა მექნება და 2016 წლამდე მოგვიწევს, არსებულ რეალობაში ვიმუშაოთ. საკონსტიტუციო სასამართლოში კადრების დიდი განახლება კი ბოლოს 2016 წელს იგეგმება, რადგან იგი 2006 წელს დაკომპლექტდა.

— ცოტა ხნის წინ იურიდიული კომიტეტის სხდომაზე მძიმე საკითხი დაისვა — 2014-2015 წლებში უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებში კადრები რომ განახლდება, მოსამართლეების დეფიციტი იქნება, რადგან ახალი კადრები აღარ მზადდებიანო. მართლა ასეა?

— მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადები მართლაც გადის, მაგრამ ბევრი კარგი იურისტია ქვეყანაში, ვისაც მოქმედი მოსამართლეების ჩანაცვლება შეუძლია. არ მგონია, უიმედო მდგომარეობაში ვიყოთ. თავადაც ვიცი არაერთი ნიჭიერი იურისტი, რომელიც დღეს მოსამართლე არაა, მაგრამ ეს სფერო აინტერესებს. ვფიქრობ, ისინი ამ თანამდებობებზე კარგად იმუშავებდნენ. მართალია, იუსტიციის საბჭოში დღეს გარკვეული წინააღმდეგობებია, თუნდაც კენჭისყრის დროს, მაგრამ ახალი თავმჯდომარის მოსვლასთან ერთად, ყველაფერი დალაგდება. კოტე კუბლაშვილს კი უფლებამოსილების ვადა 2015 წლის თებერვლის ბოლოს ეწურება.

ვერსიანიუსი

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სპეცწარმომადგენელი დავით უსუფაშვილს წერილით მიმართავს

ჟოაო სუარესი საქართველოში სასამართლო სისტემის პოლიტიკური მიზნით გამოყენების შესახებ გავრცელებული ცნობების გამო შეშფოთებას გამოთქვამს.

სუარესი აღნიშნავს, რომ საერათშორისო გაერთიანება, მათ შორის ეუთო-ს წევრი არაერთი ქვეყანა გამოხატავს შეშფოთებას საქართველოში სასამართლო პროცესების არაობიექტურად წარმართვისა და იმ ფაქტის მიმართ, რომ ოპოზიციის ლიდერთა ნაწილი ან პატიმრობაშია (ძირითადად წინასწარ პატიმრობაში) ან ბრალდების/გამოძიების ქვეშ არის.

სუარესის თქმით, **„მსგავსი ცნობები დემოკრატიული და ინსტიტუციონალური განვითარების კუთხით ბოლო წლებში მიღწეულ პროგრესს ჩრდილს აყენებს.**

2012 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლების მშვიდობიანი და სამაგალითო გადაბარება საქართველოს დემოკრატიული განვითარების დემონსტრირება იყო. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, ქვეყანა დემოკრატიული კონსოლიდაციის მიმართულებით წავიდეს და არა უკან“.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სპეცწარმომადგენელი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გასამართლება, მისთვის დაუსწრებლად წინასწარი პატიმრობის შეფარდება და მისი ოჯახის ქონების დაყადაღება, რომელსაც ბრალდებასთან არანაირი კავშირი ჰქონია, განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო.

„მიუხედავად იმისა, რომ კანონზე მაღლა არავინ დგას, ამ და სხვა გამოძიებების პოლიტიკური ხასიათი ძირს უთხრის ხელისუფლების მტკიცებას, რომ კანონის უზენაესობა დაცულია“, — წერს სუარესი.

„პირველი“

ავარეთ-დაღესტნის საზღვარზე საპროტესტო აქცია ხმაურით წარიმართა

ათამდე არასამთავრობო ორგანიზაცია ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობის გასაპროტესტებლად ჩავიდა.

აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას აქტიურობისკენ მოუწოდეს და იმ საფრთხეებზე ისაუბრეს, რაც ამ გზის მშენებლობას შეიძლება მოჰყვეს.

მშვიდობიანი აქციის ჩაშლა ადგილობრივებმა თავდაპირველად რუსეთის მხარდამჭერი შეძახილებით სცადეს, რის შემდეგაც რუსულ მაისურებში ჩაცმული მოსახლეობა აქციაზე მივიდა და განაცხადა, რომ რუსეთი ოკუპანტი არ არის. ისინი არასამთავრობოებს აქციის შეწყვეტას სთხოვდნენ და გზის მშენებლობას მოითხოვდნენ. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ავარეთ-კახეთის საზღვარზე გამართული აქცია ადგილობრივებმა გააპროტესტეს.

„პირველი“

გივი თარგამაძის „ალიარებითი ჩვენება“

რაზე იხდის ბოდიშს, ვის ამხელს და კიდევ ვის ემუქრება სულის ამოხდით ნაციონალი დეპუტატი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საუბრობს მთავარ შეცდომებზე, ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტებსა და მათთან კავშირზე, საპარლამენტო ნდობის ჯგუფის დანაშაულებრივ დარღვევებზე, ქართული ოპოზიციიდან უკრაინის ხელისუფლებაში გადაბარგებულ თანაგუნდელებზე, 2003 წლისა და უსისხლო რევოლუციის გამეორების საჭიროებაზე, მძიმე ზამთრის შემდეგ მოსულ ცხელ პოლიტიკურ გაზაფხულზე — „ვერსიის“ რესპონდენტი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი გივი თარგამაძეა, რომელიც სამარკო ფრაზას არც ამჯერად ღალატობს და ყველას, ვინც ამ ფრაზას საკუთარ თავზე მიიღებს, სულის ამოხდით ემუქრება.

— უკრაინაში თქვენი მეგობრები ვაშაძე, ზღულაძე, კვიტაშვილი ხელისუფლებაში ინიშნებიან. ეს ხალხი და მათი რეფორმები აქ ასეთი წარმატებული იყო?

— სხვა ყველა ახსნა, გარდა იმისა, რომ ჩვენი რეფორმები წარმატებული იყო, თითიდან გამოწოვილია. უკრაინას ახლა მსოფლიოს ცივილიზებული ნაწილი ეხმარება და მიიჩნევს, რომ საქართველოში სწრაფი და დადებითი რეფორმები გავატარეთ. თანამდებობაზე ჩვენი მეგობრების დანიშვნა ამის შედეგია.

— და არა სეიშელზე გადამალული 16 მილიარდისა, რომელიც, გენერალ ტრისტან წითელაშვილის განცხადებით, სააკაშვილმა პოროშენკოს ამ თანამდებობის სანაცვლოდ გადაუხადა?

— ტრისტან წითელაშვილზე კომენტარების კეთებას აზრი არ აქვს, რადგან ეს კაცი გამოკვეთილი ნაძირალაა. არც გენერალი ყოფილა ოდესმე — იარაღისა და ჯავშანჟილეტების ჩვეულებრივი გამყიდველი იყო, რომელსაც გენერლობა კაზაკებმა მიუგდეს. იგი ამ ქვეყნის იმდენად დიდი მტერია, რომ რუსული ჭღთ-ს ეთერსაც უხსნიან და ვრცლად ალაპარაკებენ, თუმცა მე მას სერიოზულ მტრადაც კი არ განიხილავ.

— უცნაურია, თანამდებობა თქვენ, უკრაინის პროცესებში ყველაზე აქტიურად ჩართულ ადამიანს რატომ არ შემოგთავაზეს?

— რაიმე შემოთავაზება რომც მიმეღო, არც განვიხილავდი — ყველა თვალსაზრისით, აქ უფრო საჭირო ვარ. თან, აქ ჩვენი დეპუტატთა კორპუსის მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია.

— მერე, გიორგი ვაშაძის დათმობა არ გენანებათ?

— ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. თუმცა საპარლამენტო სიაში შემდეგი ეკა ხერხეულიძეა, იმის მერე ლევან თარხნიშვილი, ასე რომ პრობლემა არ არის.

— როგორც „კანონიერი ქურდების მამა“ და „მორგის სანიტარი“, თქვენ და გიგა ბოკერია, სააკაშვილთან ერთად, თურმე ქვეყანაში გადატრიალებას ამზადებთ. მსგავს ბრალდებებში სულ თქვენი გვარები რომ ფიგურირებს, ამას როგორ ხსნით?

— გიგა ბოკერიას ხსენება მიკვირს. ალბათ, იმას გულისხმობენ, რომ გიგამ ამ არეულობის საერთაშორისო მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს, რადგან ძალიან წარმატებულია საგარეო პოლიტიკაში. იგივეს ვერ ვიტყვი „ოცნებაზე“, რომელმაც ყველაზე ჩამყაყებული პოზიცია დაიკავა და განაცხადა, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა განსაკუთრებული რამ კი არა, მოვლენათა ჯაჭვში ერთი რგოლი იყოო.

— ბრიტანული „ეკონომისტის“ მწვავე შეფასებები ბიძინა ივანიშვილზე, შემთხვევით, ნაციონალების ამ „წარმატების“ ნაწილი ხომ არ არის?

— როცა სახელმწიფოს სახელით განცხადებებს ვაკეთებდით და საკუთარი ქვეყნის ლობებს ვეძებდით, ამის გამო ლამის სისხლის სამართლის საქმეებით გვემუქრებოდნენ. დღეს ჩვენს პარტიას საიმისო სახსრები არ აქვს, რაღაც სტატიები შეუკვეთოს და აქვეყნოს. ასეთ სტატიებს ვინ უკვეთავს, ვნახეთ.

ყველაფერს ჩვენ ნუ დაგვაბრალებენ. დიახ, ძალიან კარგად ვიცით პოლიტიკური ტექნოლოგიები, მაგრამ ამ ცოდნასა და გამოცდილებას იმისთვის ვიყენებთ, მასობრივი პროტესტი და ქუჩის აქციები რევოლუციასა და არეულობაში არ გადაიზარდოს. ამას ვასწავლიდით ყველა მეგობარ ქვეყანას და საწყენია, ამას მე რომ მაბრალებენ. ეს შეფასება ჩემზე „კანონიერი ქურდების დედამ“, თეა წულუკიანმა გააკეთა, თუმცა ისეთ ტიპებთან კავშირი არასოდეს მქონია, როგორებთანაც მას. არც მორგის სანიტარი ვყოფილვარ. სასწრაფოზე ვიმუშავე 3 წელი და საოპერაციო ბლოკში ვიყავი სანიტარი, მაგრამ დასაცინს ვერაფერს ვხედავ — საკმაოდ დასაფასებელი სამუშაოა მთელ მსოფლიოში. ამ დროს, წულუკიანმა კრიმინალებს მემორიალი დაუდგა და მათ თავისი კალთა გადააფარა. მე ხომ „ოცნებას“ არ ვეუბნები, რაღაც სატელეფონო ლაპარაკი მოვისმინე-მეთქი. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, აჭარაში ვინმე ლავას ოღლი ციხეზე „მაყურებლის“ გასაკონტროლებლად გააძლიერეს და ამით ადგილობრივმა პოლიციამ ისარგებლა.

— მერე, ეს სისტემა ვისი მოგონილია? თანაც, დღეს იმაზეა საუბარი, რომ სწორედ ციხეებში ბუნტს გეგმავთ „ქურდების“ დახმარებით და არის ფაქტები, როგორ შემოდიოდნენ საქართველოში „კრიმინალური ავტორიტეტები“.

— მე მათ უკვე 19 ასეთი შემთხვევა ჩამოვუთვალე. ისინი კი არ რეაგირებენ. სამაგიეროდ, კარგად ჩაუსხდნენ და მთელი 9-წლიანი პერიოდის განმავლობაში ერთი საცოდავი ფაქტი იპოვეს. არ გამოვრიცხავ, ოდესღაც, ასეთი რამ მართლა მომხდარიყო. თუმცა დღეს, ხელისუფლებას კვირაში ერთხელ, წუთებითა და წამებით დაზუსტებულ ინფორმაციას ვაწვდი, რომელმა „კანონიერმა ქურდმა“ გადმოკვეთა საზღვარი, როგორია მისი მარშრუტი, ვის როდის „გაადეპორტებენ“ ძველი ადგილსამყოფელიდან, მაგრამ არ ესმით. ეს ინფორმაცია იგივე საშუალებებიდან და სერვერებიდან გვაქვს, რაც დღეს მათ ხელშია. შეუძლიათ, ჩემზე ოპერატიულადაც მოიპოვონ, მაგრამ არ აინტერესებთ.

— ამ სერვერებზე წვდომა თქვენ რატომ გაქვთ?

— იმიტომ, რომ იქ ჯერ კიდევაა კარგი ხალხი შემორჩენილი — ჯერ ყველა ვერ გამოყარეს. ახლა ეძებონ, ვინ არიან ეს ადამიანები. ამ ხელისუფლებამ ხალხი ბოლო წერტილამდეც რომ მიიყვანოს, სწორედ ჩვენი პარტია ეცდება, პროცესი უმართავი არ გახდეს. ივანიშვილი შევარდნაძესავითაც რომ მოიქცეს, ჩვენგან საბურავებს მაინც ნუ დაელოდებიან — ყველაფერი ისევ უსისხლოდ დასრულდება.

— ფიქრობთ, ახლა ქვეყანაში 2003 წლის გამეორების შანსი და საჭიროებაა?

— იმედი მაქვს, საჭირო არ იქნება. ჩვენ გვაქვს გარკვეული მხარდაჭერა და „ოცნებისგან“ განსხვავებით, არ გავიძახით, ქუჩაში 200 000 კაცი გამოვიყვანეთო. მოსახლეობას ვხვდებით. ესაა მუშაობა და არა ცესკო-სთვის ჩაქუჩების რტყმა და ყვირილი, მოვდივართო.

— ცესკო ახსენეთ, რომელსაც მალე, არსებული სისტემით, მთლიანად „ოცნება“ დაიკავებს. ასე იყო თქვენი დროსაც. დღეს რომ საარჩევნო ცვლილებებზე საუბრობთ, ამის მისახვედრად 9 წელი რატომ დაგჭირდათ?

— ესაა საქმე. სწორედ ამ შეცდომებმა მიგვიყვანა დღევანდელ შედეგამდე, აბა, ისე უბრალოდ კი არ წავაგეთ არჩევნები. სისტემა შესაცვლელია, არჩევნების მაჟორიტარული წესიც არ მოგვწონს. არასაპარლამენტო პარტიებთანაც ვიმუშავებთ ერთიანი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად და არასამთავრობო სექტორთანაც.

— გაგიჭირდებათ — არასამთავრობოებისთვის იმდენად მიუღებელი ხართ, „მოსმენების“ კანონზე მათი წინადადების ინიცირების ნებაც კი არ მოგცეს.

— ჯერ ერთი, არასამთავრობოთა მთელი სპექტრი სამი ორგანიზაცია არ არის. თუმცა ურთიერთობას მათთანაც ვაგრძელებთ და იმედია, პრინციპულ საკითხებზე შევთანხმდებით. მოსმენებს რაც შეეხება, ხელისუფლებაში ყოფნის დროს ყველაზე მძიმე გამოცდილება ჩვენ მივიღეთ. ეს ჩვენი მოგონილი სისტემა არაა, მაგრამ ამით პასუხისმგებლობას არ ვიხსნით იმ გადაცდენებზე, რაც ვერ აღმოვფხვერით და შემდეგ, ყველაზე მახინჯი სახით, ისევ ჩვენ მოგვიტრიალდა. ამის შესაცვლელად ბრძოლას ოპოზიციიდან გავაგრძელებთ, რადგან ხელისუფლებაში არავინ არაფერი იცის! როცა ქვეყანას ფაქტობრივად, ჯანყარაშვილი მართავს, საერთოდ რაზეა საუბარი. მთელი მისი გამოცდილება ელიავაზე „დაშლილების“ გაყიდვაა!

— წავიდა ჯანყარაშვილი უკვე მეორე პოსტიდან და მეტი რაღა ქნას, რომ კლანურ მმართველობაზე არ ილაპარაკოთ!

— ჩანაცვლება, ერთი პოსტიდან მეორეზე, ან სხვა სივრცეში გადასვლა, არაფერს ნიშნავს.

დღეს ხელისუფლებაში რუსეთზე ღიად მომუშავე ადამიანები გვყავს: ზურაბ აბაშიძე, რომელიც მოძველებიჭო ელემენტია და თავხედურად საუბრობს. ასევე, ამაზრზენი პაატა ზაქარეიშვილი, რომელმაც იმდენი გაბედა, ხალხს თავზე დააფურთხა და გამოუცხადა, აფხაზეთის ანექსია ჩემი წარმატებააო. არის გია ვოლსკი, რომელიც თავისი „კაიბიჭური“ მანერებით, უმრავლესობას ოფიციალურად აკონტროლებს და არც აინტერესებს, პარლამენტში უსუფაშვილი საერთოდ არსებობს, თუ არა. ეს ადამიანები ღიად და დაუფარავად ცდილობენ, რუსეთში შეგვტენონ. ეს რაღაც პრაიდის ტიპის დაჯგუფებაა.

— რა მოულოდნელი შედარებაა — ანუ ისინი ლომებად მიგაჩნიათ?

— არა, ლომებად კი არა, აფთრებად მივიჩნევ. დღეს მთელ ქვეყანას თავზე ეს აფთრები ასხედან. არანაკლებ ნაძირლებს, ისეთებს, როგორიც მაგალითად შტრილნიკოვია, ეკა ბესელია მკერდით გადაეფარა. ის თავისივე გამოშვებულ ნაძირლებს იცავს დუჟმორეული!

— ბესელია თქვენც კარგად გიცავდათ, როცა თქვენი ადვოკატი იყო — როდის გაიყო თქვენი გზები?

— 2002 წელს, როცა კობა ნარჩემაშვილი ჩემს დაჭერას აპირებდა ხულიგნობის მუხლით, მირჩიეს, ეკა აიყვანე, კარგი ადვოკატიაო. ის საქმე, სხვათაშორის, ახლახან დაიხურა. ერთხელ გვქონდა სასამართლო და აქ დასრულდა ჩვენი ურთიერთობა.

— და ქვეყნის პირველ აუდიტორ ლაშა თორდიასთან?

— ლაშა თორდიასთან დღეს არავითარი ურთიერთობა არ მაქვს. ეს ნდობის ჯგუფის სხდომის წინაც დავაფიქსირე, როცა მითხრეს, ეს კაცი თქვენი მეგობარი არ იყოო?! მასთან განსაკუთრებული მეგობრობა არც არასდროს მაკავშირებდა.

დასასრული მე-6 გვერდზე

ვერსიანიუსი

შსს-ს წარმომადგენლებმა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია თბილისის 75-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს გააცნეს

შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად განაგრძობს შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებულ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ კამპანიას. ახალგაზრდა თაობის უკეთ ინფორმირების მიზნით, ამჯერად საინფორმაციო შეხვედრა თბილისის 75-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა. ახალგაზრდებს შსს-ს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი სპეციალური სამუშაო ჯგუფის წევრები: შსს-ს პოლიციის აკადემიის საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსი ნოდარ სააკაშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი ეკა კენჭაძე, ამავე სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორი თამარ ისაკაძე და არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ თავმჯდომარე ნატო შავლაყაძე ესაუბრნენ.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა მოსწავლეებს, ოჯახში ძალადობის სხვა საკითხებთან ერთად, შსს-ს ინიციატივით კანონში შესული ცვლილებები გააცნეს, რომელთა მიხედვით მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, ოჯახში ძალადობა 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

შეხვედრაზე მოსწავლეებს კამპანიის ფარგლებში შექმნილი სოციალური რგოლები უჩვენეს, რომელთა მიზანია საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში უნდა დარეკონ ცხელ ხაზზე: „112“ ან მიმართონ უბნის ინსპექტორს, მოძალადეებმა კი მიიღონ გაფრთხილება, რომ ოჯახში ძალადობა თავისუფლების აღკვეთით ისჯება. შეხვედრის ბოლოს მოსწავლეებსა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის დისკუსია გაიმართა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია „არა ძალადობას!“ 25 ნოემბერს დაიწყო. კამპანიის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის შესახებ და ამ პრობლემის დასაძლევად საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობის ხაზგასმა. კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით მოხდება საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს, ხოლო მოძალადეები კანონით ისჯებიან.

„ვერსიანიუსი“

პატიმარი №0578

„გადავწყვიტე, ციხეში 25 წელი უნდა იჯდე!“

როგორ იძია შური ძმის მკვლელზე იურისტმა და რა მეთოდებით უმატებდნენ „სროკს“ ციხეში

„აბიჟნიკები“ — ამ ტერმინს ყოფილი ხელისუფლების ლიდერთა მისამართით ხშირად გაიგონებდით. მართლაც, ვიღაც ბავშვობის წყენას იხსენებდა, ვიღაც სნორედ ბავშვობის ოცნებების ახდენას ცდილობდა და ამას ადამიანების უფლება თუ თავისუფლება ეწირებოდა. ჩვენი თანამედროვეობისა და რეალობის ამ ისტორიის მთავარი გმირი დამნაშავეა, მაგრამ რომ არა დაზარალებულის გავლენა, ციხეში საკმარისზე მეტ დროს არ გაატარებდა...

1992 წელს, თბილისში, ზოოპარკთან, ახალგაზრდების ჩხუბს მკვლელობა მოჰყვა. 17 წლის გია ჩ-მ თანატოლი დანით გამოასალმა სიცოცხლეს. მკვლელი ადგილზე დააკავეს და სასამართლომ ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. როცა მოსამართლემ განაჩენი გამოაცხადა, გიას მამამ ამოიგმინა, დედას გული წაუვიდა... გია საცოლემ გაამხნევა, ათი წელი კი არა, მთელი ცხოვრება დაგელოდებიო. მერე თქვა გიამ, სასამართლოზე ჩემი ასაკის ბიჭი მოდიოდა, კუთხეში ჯდებოდა, თვალებით მჭამდა, მაგრამ ხმას არ იღებდაო. განაჩენის გამოცხადების დღესაც იყო ის ბიჭი დარბაზში და იქაურობა ისევ უხმოდ დატოვა...

გია სასჯელის ბოლო წელს ითვლიდა, როცა ადვოკატთან პაემანზე დაუძახეს. გასვლამდე მაყურებლები ნახა. არავის ველოდები, მით უმეტეს ადვოკატს, ათი წელია არ გავხსენებივარ და ახლა, როცა რამდენიმე თვე დამრჩა, რაში გავახსენდებოდიო. მაყურებლებმა ოფიცრებს ჰკითხეს, რეალურად რა ხდებაო, მაგრამ მათ არაფერი იცოდნენ. გია პაემნების ოთახში შევიდა და როცა მაგიდასთან მჯდომ უცნობს მოჰკრა თვალი, შეკრთა — ის ბიჭი ელოდა, სასამართლო პროცესებს რომ არ აცდენდა.

„მე იმ ბიჭის ძმა ვარ, შენ რომ მოკალი. მთელი ცხოვრება მინდოდა, მფრინავი გამოვსულიყავი, მაგრამ ამ ამბის შემდეგ იურიდიულზე ჩავაბარე. ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსი ვარ და შენთან გარიგებისთვის მოვედი. ათი წელი არაფერია იმ ტკივილის სანაცვლოდ, რაც მე და ჩემს ოჯახს მოგვაყენე. სროკს დაგიმატებთ და სანამ მე არ გადავწყვეტ რომ კმარა, მანამ აქ იქნები. იმიტომ მოვედი, რომ არაფერი გაგიკვირდეს და ტვინის ბურღვა არ დაიწყო. ყველაფერი უმაღლეს დონეზე მაქვს შეთანხმებული“, — მშვიდად ჩამოაყალიბა აზრი სტუმარმა.

„ათი წელი მომისაჯეს. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მითხოვია შეწყალება, რადგან დამნაშავე ვარ და სასჯელი უნდა მომეხადა. ამ ათ წელს მოვრჩები, ჩემს სოფელში წავალ, ცოლს მოვიყვან, იმ გოგოს, სასამართლო შენსავით რომ არ გაუცდენია და დღემდე მელოდება. შენს ცხოვრებაში საერთოდ აღარ გამოვჩნდები“, — უთხრა გიამ, მაგრამ სტუმარს ღვარძლიანად გაეცინა და ოთახიდან გავიდა.

მეორე დღეს გიას კამერაში „შმონზე“ შევიდნენ და მის ლეიბში „შტირი“ იპოვეს. სასამართლო მალე დასრულდა — აკრძალული და ჯანმრთელობისთვის ზიანისმიმყენებელი ნივთის შენახვისთვის სამი წელი დაუმატეს. ფსიქოლოგიურად ეს უმძიმესი გადასატანი იყო და გიაც კინაღამ გაგიჟდა, თუმცა ისევ შეყვარებულმა დაამშვიდა, სადაც ათი, იქ სამიცო და თან გაეხუმრა, ბარემ 30 წლის იქნები და ცოლად მრგვალ თარიღზე მომიყვანო. 2005 წელს, როცა გია სასჯელის ბოლო კვირას იხდიდა, მის საკანში ჩხუბი ატყდა, ახლადმოყვანილ პატიმარს ვიღაცამ დანა დაუსვა, სასამართლოზე კი მან ჩვენება მისცა, რომ ეს ვიღაც გია იყოო. სხეულის დაზიანებისთვის მოსამართლემ ხუთწლიანი „სროკი“ არ დაიშურა.

„ხვალ თუ ის კაცი არ მოვა ვინც ამ ყველაფერს მიჩალიჩებს, გპირდებით, ნებისმიერ ოფიცერს ყელს გამოვჭრი. მაინც დამთავრებული მაქვს ცხოვრება. აქედან გაშვებას არ მიპირებენ, მგონი და სიკვდილით დასჯა აღარ არის. სამუდამო კი ისედაც გამომდის და დაგერევით, გპირდებით, დაგერევით“, — ქსნის ზონის უფროსს უთხრა გიამ. მეორე დღეს სტუმარი ისევ მოვიდა.

„13 წელი დავამთავრე. 13 ჯოჯოხეთური წელი. კიდევ ხუთი დამიმატეს. ჯამში 18 გამომდის. მითხარი რა გინდა?! როდემდე?!“ — გია თავს ვეღარ აკონტროლებდა და ბოლო ხმაზე ყვიროდა.

„ვიფიქრე მაგაზე და გადავწყვიტე — ციხეში მეოთხედი საუკუნე, ანუ 25 წელი უნდა გაატარო. ამას რომ მორჩები, 18 გამოგივა, კიდევ შვიდი წელი დაგრჩება მოსახდელი. რაზე დაგიმატებენ, მაგას მოვიფიქრებ, ხუთი წელი მაქვს დრო. მე რომ რამე დამემართოს, დაბარებული მაქვს მეგობრებისთვის, რომ მოგხედონ. 25 წელზე ნაკლებზე არც იოცნებო. აქედან რომ გახვალ, 42 წლის იქნები. არ არის ბევრი. ცოლსაც მოიყვან, აი, იმ გოგოს, სასამართლოზე რომ დადიოდა და ახლა სხვა გზა არ აქვს, ვინუჟდენი გელოდება და ეგებ შვილიც გეყოლოს. აი, ჩემი ძმა, შენ რომ მოკალი, ამას ვერასოდეს შეძლებს“, — უთხრა პოლიციელმა და ოთახიდან გავიდა.

გიამ საცოლეს დაურეკა და ქსანში ჩასვლა სთხოვა. მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, გოგო ქსანში ჩავიდა. გიამ დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

„ანუ ეს ხუთი წელი და მერე კიდევ შვიდი?!“ — იკითხა ქალმა. გიამ თავი დაუქნია. საცოლეს გული წაუვიდა...

2010 წელიც დადგა. გია 18-წლიან სასჯელს ამთავრებდა და იმის მიუხედავად, რომ ზუსტად იცოდა, კიდევ დაუმატებდნენ, იმედი მაინც ჰქონდა. მაყურებლები მაქსიმალურად ცდილობდნენ შარში არ გახვეულიყო, ახლადმოყვანილ პატიმრებს ახლოს არ აკარებდნენ და საკანშიც მხოლოდ ერთგულები ჰყავდათ. ნებისმიერი საეჭვო მოძრაობა და ზონაზე „შუმოკი“ იწყებოდა. ერთ დილით ქსნის ზონის ჭიშკარი გაიღო, „ვარონკა“ შემოვიდა, გია ბადრაგმა ცერემონიის გარეშე, პირდაპირ შეაგდო „ვარონკაში“ და ზონიდან გაიყვანა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, პატიმრებმა ვერაფრის გაკეთება მოასწრეს. გია რუსთავის №17 ზონაში გადაიყვანეს.

„შენზე მითხრეს ტვინი უმუშავებსო. ჩემს ისტორიას მოგიყვები და მითხარი რა ვქნა“, — გია პატიმარ №0578-ის წინ იჯდა და მუდარით სავსე თვალებით უყურებდა. პატიმარმა ბოლომდე მოუსმინა მონაყოლს, მერე მაყურებლებთან ჩავიდა, გიას თავისი ამბავი თავიდან მოაყოლა და მხოლოდ ორი სიტყვა თქვა: „შარში ვართ!“

მაყურებლებმა ზონის უფროსთან, ლაშა ბრეგვაძესთან შეხვედრა მოითხოვეს. ლაშამ მშვიდად მოისმინა ყველაფერი, არაფერი ვიცი, თქვა და როცა გაარკვია, შეიძლება მთელი ზონა შარში გახვეულიყო, თავის ძმაკაცს, ბაჩანა ახალაიას დაურეკა — ეს ვიღაც გია აქედან მომაცილეთო. სამი დღის შემდეგ გია ისევ ქსანში დააბრუნეს. №0578-ის დარიგება კარგად ახსოვდა, ამიტომ მისვლისთანავე თანასაკნელებთან ერთად ჩაიკეტა და ერთი საათი ესაუბრა. შემდეგ ერთად გაყარეს კამერიდან კორიდორში ლეიბები, საბნები, ბალიშები, ტანსაცმელი... მხოლოდ ტრუსებისა და მაისურების ამარა დარჩნენ. სიგარეტი, ასანთი, პლასტმასის კოვზები, თეფშები და ჭიქები დაიტოვეს და ზონის უფროსს უთხრეს, რამეს ჩადება გამორიცხულია, თავადაც ხედავ, საკანი სუფთაა. გარეთ გამოსვლაზე უარს ვაცხადებთ, საჭმელი კარმუშკიდან მოგვაწოდონო. საქმეში ადვოკატიც ჩაერთო და ის ორი კვირა, რომელიც გიას 18-წლიანი სასჯელის დამთავრებამდე ჰქონდა დარჩენილი, ასე წვალებაში გავიდა. პროვოკაცია ვერ მოაწყვეს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს ყველაფერი საკუთარ ანგარიშებში ჰქონდათ ასახული და ორი კვირის თავზე ქსნის ზონის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, პატიმარი გია ჩ. თავისუფლებაზე გაეშვა. გიასთან ერთად იმ დღეს კიდევ ერთი პატიმარი გათავისუფლდა.

* * *

„ქსნის ციხიდან ამაღამ ორი პატიმარი გათავისუფლდება. როგორც კი ღამის 12-ს გადასცდება, ადმინისტრაციას უფლება აქვს, გაუშვას და გაუშვებს კიდეც. ერთ-ერთს თეთრი სპორტული ზედა აცვია, სპეცოპერაციას ჩავატარებთ და აყვანის დროს ის თეთრსპორტულიანი უნდა მოკვდეს. პასუხისმგებლობას მთლიანად ჩემს თავზე ვიღებ“, — თათბირი თბილისის ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსის კაბინეტში გაიმართა.

ქსნის ზონაზე გიას ოჯახის წევრები ჩასვლას დილისთვის აპირებდნენ, მაგრამ გია ღამე გაუშვეს, გეყოფა, რაც იჯექი. მასთან ერთად სხვა პატიმარიც გავიდა. ზონიდან გამოსულებს შესცივდათ. გიამ თეთრი სპორტული გაიხადა და მეორე პატიმარს ჩააცვა, ტუბერკულოზი ახალი გადატანილი გაქვს და შენ უფრო გჭირდებაო. გზაზე ფეხით მიმავლებს სროლა აუტეხეს — სპეცოპერაცია „წარმატებით“ დასრულდა. პოლიციელებს აყვანის დროს თეთრსპორტულიანი კაცი „შემოაკვდათ“. როცა გარდაცვლილის სანახავად პოლიციის უფროსი მივიდა, ადგილზე გაშეშდა — მის წინ გიას გვამი არ იდო. შემდეგ გადარჩენილი პატიმრის ნახვა მოითხოვა და, როცა გიას შეხვდა, სიმწრით იღრიალა: „ან ციხეში შებრუნდები და კიდევ შვიდ წელს დაჯდები, ან ჩემი ხელით მოგკლავ შენ და შენი ოჯახის წევრებსაც ზედ მიგაყოლებ. იცოდე, უკან არ დავიხევ. ახლა გაგიშვებ, მაგრამ მალე შენს ოჯახს დააყაჩაღებენ და ერთად ამოგწყვეტენ ყველას. გირჩევ, მანქანის ქურდობა აიღო საკუთარ თავზე და გადარჩები. შვიდ წელზე მეტს არ მოგცემენ და პირობას გაძლევ, არც მეტს დაგიმატებენ. 25 წელი უნდა მოიხადო და შეგეშვები“.

გია დათანხმდა, თუმცა მანამდე ოჯახის წევრებთან შეხვედრა ითხოვა.

მამა და საცოლე შეახვედრეს. გიამ ყველაფერი აუხსნა. დამშვიდობებისას მამამ ამოილუღლუღა: „შეიძლება, არ გახსოვს, მაგრამ დღეს დაბადების დღე მაქვს“...

„რამდენის გახდი“, — ჰკითხა გიამ.

„67 წლის ვარ“, — ჩუმად უპასუხა მამამ.

„ჰოდა, ჩემი ამ ქვეყანაზე მოვლენისთვის, ჩემი გაკეთებისთვის და გაჩენისთვის, 67-ჯერ გაგინებ ყოველდღე აწი. ამისთვის გამაჩინე, რომ ასე მეცხოვრა“, — ნერვებმა უმტყუნა გიას.

ორ თვეში სასამართლომ ციხიდან გათავისუფლებულ პატიმარ გია ჩ-ს, იმავე დღეს ჩადენილი დანაშაულისთვის, კონკრეტულად კი ავტომანქანის ქურდობისთვის, შვიდი წელი მიუსაჯა...

ექსკლუზივი

გივი თარგამაძის „აღიარებითი ჩვენება“

მე-5 გვერდიდან

ახლა, თორდიამ, რა თქმა უნდა, რაღაც გარანტიები მიიღო, თანამდებობასთან ერთად და ჩათვალა, რომ ეს ყველაფერი იმად ღირს, იქეთ შეუტიო შენიანებს. თორდიამ პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის დაკვეთა შეასრულა თავდაცვის სამინისტროსთან მიმართებაში. მთელი ეს მოვლენები, რაც ირაკლი ალასანიას გარშემო განვითარდა, იმით გაგრძელდა, რომ პარლამენტის ნდობის ჯგუფმა და ირაკლი სესიაშვილმა გადაწყვიტეს, აუდიტის სამსახურისთვის წერილი მიეწერათ. მიწერ-მოწერა პარლამენტსა და ამ სამსახურს შორის ზუსტად 1 დღეში დასრულდა, რამდენიმე წერილი გადაუგზავნეს ერთმანეთს, უცებ, პასუხებიც დაბრუნდა და ჰოპ, მეორე დღეს პარლამენტში უკვე ამ მასალების დიდი ნაწილი მოიტანეს და სხდომა ჩატარდა. ე.წ. კაბელების საქმე რომ ამოტივტივდა, სესიაშვილმა პირველად მაშინ დამირეკა, აბა, უცებ ვიკრიბებით, ნდობის ჯგუფშიო. რაც ამ სხდომაზე მოხდა, საერთოდ ნონსენსი იყო. აუდიტმა საკუთარი ინიციატივით მოიტანა შემოწმებულ უწყებათა მასალები და აღმოჩნდა, რომ შესწავლილი აქვთ მხოლოდ 2011-2012 წლები და 2013 წლიდან ერთი, თავდაცვის უწყება.

— ეგ რას ნიშნავს — უწყებები შეამოწმეს მხოლოდ თქვენი მმართველობის პერიოდში, „ოცნების“ მოსვლის დღიდან კი მარტო ალასანიას სამინისტროა შემოწმებული?

— ზუსტად მაგას ნიშნავს, აბა, დებილები ხომ არ ვართ! თან ალასანიას საქმეები აუდიტს პროკურატურაში უკვე გადაგზავნილი ჰქონდა, რაც მათი კი არა, ნდობის ჯგუფის ფუნქციაა. სინამდვილეში, ნდობის ჯგუფი მხოლოდ იმიტომ შეკრიბეს, რომ ამ გზით გასაჯაროებულიყო, თუ რა დარღვევები ჰქონდა ალასანიას. როცა ნდობის ჯგუფმა აუდიტის სამსახურს მიწერა, დანარჩენი უწყებების შემოწმების მასალებიც გადმოეცა, გვიპასუხეს, ეს შრომატევადი საქმეა და ამ წელში ვერ ესწრებაო. აქ ერთიცაა — 2013 წლიდან შემოწმებულია დაცვის სპეციალური სამსახური, რაც ასევე არ გაასაჯაროეს, სხდომა კი ამ წელს აღარ ჩატარდება, რომც მოვიწვიო. 2011-2012 წლებში, დაცვის სამსახურის შემოწმების შედეგები სწორედ იმიტომ გასაჯაროვდა, რომ ამით ბრალი სააკაშვილს წაუყენეს. ამის მერე კი, პარლამენტმა დაცვის სამსახური პრემიერს, ანუ ივანიშვილს დაუქვემდებარა. დიდი ეჭვი მაქვს, ამ სამსახურის დაფინანსება ზუსტად იგივე გეგმითა და სქემით მოხდა, როგორც 2012 წელს იყო, ამიტომ ახლა ეს დოკუმენტი საჯარო რომ გახდეს, ან ივანიშვილსაც ბრალი უნდა წაუყენონ, ან ბრალი სააკაშვილს უნდა მოუხსნან. იგივე დარღვევა ექნება ყველა დანარჩენ ძალოვან უწყებასაც და ივანიშვილის დაცვის ყოფილ უფროსს ჩუბინიძეს. გარდა ამისა, არც ერთი უწყებიდან მასალა არაა გადმოგზავნილი, სადაც კანონის მიხედვით, 2 მლნ-ზე მეტი შესყიდვა იქნება გაწერილი. ისინი ან კანონს არღვევენ და მასალას არ გვიგზავნიან, ან ასეთი შესყიდვები საერთოდ არ ჰქონიათ. თუ ეს ასეა, მაშინ მართლა დავღუპულვართ და როგორც საქმეში ჩახედულმა კაცმა, ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ტყვია-წამლის საყიდელი ფულიც მართლა არ გვქონია. თუ ნდობის ჯგუფი ოდესმე ისევ შეიკრიბება, ამ საკითხებს აუცილებლად დავაყენებ.

— ისე, ცოტა უხერხულია ნდობის ჯგუფის დარღვევებზე საუბარი, როცა თქვენ დროს მასში ოპოზიციონერი დეპუტატი არ შეიყვანეთ. საკუთარ შეცდომებზე და იმაზე რას იტყვით, რომ სწორედ ნაციონალების წევრებზე დგას დღეს „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა?

— კარგია, რომ „ბალასტი“ ჩამოგვშორდა. უფრო კარგი კი ისაა, რომ პარტიის ბირთვი შეკრული დარჩა. მძიმე, ზამთრის პერიოდში ვართ და აქედან რომ გამოვალთ, გაზაფხულზე რაც უნდა მოხდეს, აღარაფერი გაგიკვირდეთ. თუმცა ამით არაფრის თქმა არ მინდა. შეცდომებს რაც შეეხება, ბევრ რამეში პიონერები ვიყავით და შეცდომების დიდი გზა გავიარეთ. ძნელია, მოიფიქრო გადასახადების აკრეფის ისეთი სისტემა, ხალხი პანიკაში არ ჩააგდო. ამ ნაწილში, გამოკვეთილი გადაცდომებიც გვქონდა, მაგრამ ახლა ხომ ამართლებს? იყო გადაცდომები ძალოვან უწყებებშიც, მაგრამ ჩვენი მთავარი შეცდომა ისაა, რომ ხალხს აღარ ვუსმენდით. ის, რაც ციხეებში მოხდა, ვთქვათ, ე.წ. კარანტინის დაშლა, რაც ამ ფორმით მართლა ხდებოდა, ძალიან ცუდი იყო. იმის მიუხედავად, რომ ნაჩვენები კადრების ეს კონკრეტული ნაწილიცა და ე.წ. ცოცხის კადრებიც დადგმული იყო.

— ფიქრობთ, ამ ყველაფრის ჩამორეცხვა შეგიძლიათ და არც „ცოცხების ხელისუფლებად“ დარჩებით?

— ვიცი, ხელისუფლებაში დავბრუნდებით. მუდმივად ვსწავლობდით საკუთარ შეცდომებზე, ახლა ამ შეცდომებზე კი აღარ ვისწავლით, უბრალოდ, იგივეს არ გავიმეორებთ. ასე თუ მოხდება, გამოდის, დებილები ვართ. არადა, არ ვართ და ამას დავამტკიცებთ. არაერთხელ მოგვიხდია ბოდიში ამ შეცდომების გამო, ახლაც ბოდიშს ვიხდი ყველაფერზე, რაზეც ბოდიშია მოსახდელი.

— და რაზე არ არის, თქვენი აზრით?

— არ მოვიხდი ბოდიშს ჩემს ფრაზაზე „სულს ამოგხდით“! ასევე, „იმედში“ შევარდნაზე, რადგან იმის მიუხედავად, რომ ამით, ყველაზე მეტად, ჩვენ დავზარალდით, ეს აუცილებლობად მიმაჩნდა და მიმაჩნია.

— თქვენი საიმიჯო ფრაზა სულის ამოხდის შესახებ ძალაში რჩება?

— რა თქმა უნდა! ეს ფრაზა იმ ადამიანებს ეკუთვნის, ვინც მას საკუთარ თავზე იღებს. კიდევ ერთხელ ვაკონკრეტებ — ვისაც ამ ქვეყანაში რუსული დროშების ფრიალი სურს, ყველას სულს ამოვხდი!

თიბისი ბანკისა და კონსტანტას კონსოლიდაცია 2015 წლის იანვარში იურიდიულად გაფორმდება

თიბისი ბანკისა და ბანკი კონსტანტას კონსოლიდაციის პროცესი უკვე დაიწყო, ხოლო იურიდიულად, 2015 წლის იანვარში გაფორმდება. თიბისი ბანკის აქციონერთა კრებამ, ეს გადაწყვეტილება მიკროსაფინანსო ბაზარზე არსებული გამოწვევებისა და ამ ბიზნესსში ზრდის მაღალი პოტენციალის გამო მიიღო. თიბისი ბანკის დირექტორის, ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, ბანკი კონსტანტა მიკროსაფინანსო ბაზარზე მოქმედი, ლიდერი საფინანსო ინსტიტუტია, რომლის აქციების 100%-ს თიბისი ბანკი ფლობს.

თიბისის ბრენდის ქვეშ, კონსტანტა ფერს, სახელწოდებასა და ლოგოს შეიცვლის

2015 წლის იანვრამდე, ბანკი კონსტანტა უცვლელად გააგრძელებს ოპერირებას, ხოლო იანვარში, ორი ბანკის კონსოლიდაცია იურიდიულად გაფორმდება. თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის, ვახტანგ ბუცხრიკიძის განმარტებით, ამის შემდეგ, ბანკი კონსტანტა და თიბისი ბანკი, ერთი იურიდიული პირის სტატუსით განაგრძობს მუშაობას.

კონსოლიდაციის შემდეგ, კონსტანტას ბრენდი ეტაპობრივად გადავა თიბისის ბრენდის ქვეშ, რასაც კონსტანტას სახელის, ფერებისა და ლოგოს შეცვლაც მოჰყვება. თიბისი ბანკის ვიცე-პრეზიდენტისა და ბანკი კონსტანტას დირექტორის, ნიკოლოზ ქურდიანის განცხადებით, ბანკი კონსტანტას ფილიალები თიბისი ბანკი — კონსტანტას სახელით განაგრძობენ მუშაობას. მისი თქმით, მომხმარებლები კვლავ შეძლებენ ისარგებლონ კონსტანტას მიერ, დღეს შეთავაზებული პროდუქტებით, მაგრამ ამ პროდუქტების არჩევანს თიბისი ბანკის ცალკეული შემოთავაზებები დაემატება.

კომერციული ბანკის სტატუსით, ბანკი კონსტანტა საქართველოს ბაზარზე 2008 წლიდან ოპერირებს. მისი საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებაა, ფინანსური მომსახურების გაწევა მიკრო და მცირე ბიზნესისთვის. აგროსექტორის დაფინანსება კონსტანტას ერთ-ერთი, ძირითადი საქმიანობაა. როგორც ნიკოლოზ ქურდიანმა განმარტა, ორი ბანკის კონსოლიდაციის შემდეგ, ბანკი კონსტანტას ძირითადი მიმართულება არ შეიცვლება და აგროსექტორში მოქმედი საწარმოების დაფინანსების პროცესი კვლავაც გაგრძელდება. ამჟამად, ბანკი კონსტანტა, საქართველოს მასშტაბით არსებული, 60 ფილიალის საშუალებით, მიკრო და მცირე მეწარმეს ემსახურება. ამ ბანკის საკრედიტო პორტფელის ძირითადი ნაწილი, მიკრობიზნესსესხებსა და აგროსესხებს უჭირავს.

2011 წლიდან, თიბისი ბანკი, ბანკი კონსტანტას მფლობელია და ამ ხნის მანძილზე, ბანკი კონსტანტას განვითარებისთვის, თიბისიმ დაახლოებით, 226 000 000 ლარის ინვესტირება განახორციელა. თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის, ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, ამ ინვესტიციის შედეგად, კონსტანტას მთლიანი პორტფელი 400%-ით გაიზარდა. ამან კონსტანტას მომხმარებლებს საშუალება მისცა, რომ რეგიონებსა თუ ქალაქებში, საკუთარი მეურნეობებისა და ბიზნესის განსავითარებლად, საჭირო ფინანსური დახმარება მიეღოთ:

„კონსოლიდაციის შემდეგ, მიკროფინანსირება თიბისი ბანკის ერთ-ერთ, პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდება. მიგვაჩნია, რომ ჩვენს გამოცდილებას ეფექტურად გამოვიყენებთ, რათა მიკროფინანსების სეგმენტი განვავითაროთ და მიკროსაფინანსო ბაზარზე, ლიდერის პოზიციები გავამყაროთ. ვფიქრობთ, საქართველოს საფინანსო სექტორისთვის, ეს მიკროსაფინანსო ბიზნესში მეტ კონკურენციას ნიშნავს, რასაც შედეგად ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მოჰყვება. კონსტანტას კლიენტებს კი ორი ბანკის შერწყმა კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს ტექნოლოგიური სიახლეების, პროდუქტების ფართო არჩევანისა და სტაბილური თანამშრომლობის პერსპექტივის თვალსაზრისით. კონსტანტას თანამშრომლები კიდევ უფრო მეტ გამოცდილებას შეიძენენ და პროფესიულად განვითარდებიან“, — განაცხადა ვახტანგ ბუცხრიკიძემ.

კონსოლიდაციის პროცესის ფორმალურ მხარესთან, კერძოდ, მომხმარებელთა ხელშეკრულებების განახლებასთან დაკავშირებით, ბანკი კონსტანტას კლიენტები დროულად იქნებიან ინფორმირებულები, რათა ორი ბანკის შერწყმის პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ, სწრაფად და ეფექტურად განხორციელდეს.

მაია მიშელაძე

„საბავშვო პრეპარატების უმრავლესობა არასოდეს გამოუცდიათ“

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სკანდალური დასკვნა

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

მეგობრის, მეზობლისა თუ ნათესავის რჩევით წამლის მიღების მახინჯი პრაქტიკა საქართველოში წლებია არსებობს და ამას ვერსად გავექცევით, მაგრამ საგანგაშო ისაა, რომ მსოფლიოში მსგავსი დამოკიდებულება არსებობს ბავშვთა წამლების შემთხვევაშიც და ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი სულაც არ არის.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ საკმაოდ საინტერესო დასკვნა გამოაქვეყნა, რომელიც სიმშვიდის საფუძველს არავის აძლევს: **„ყოველწლიურად მსოფლიოში იხარჯება მილიარდი დოლარი ბავშვებისთვის ყოვლად უსარგებლო წამლების შეძენაზე: დიარეა, ხველა და გაციება... თანამედროვე მშობლებს მათი მკურნალობა წამლის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ. არადა, ამ პრეპარატების ნაწილი ყოვლად უსარგებლოა, ხოლო ნაწილი ჯანმრთელობისთვის საკმაოდ საშიში“.**

დღეს ბავშვთა ფარმაკოლოგიის საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას და უამრავ კითხვას ბადებს, რადგან, გაირკვა, ბავშვებისთვის ერთ წლამდე, არ არსებობს წამლის ფორმები. **„ბავშვის ორგანიზმი განსხვავებულია და მედიკამენტებიც სწორედ მასზე უნდა იყოს მორგებული“,** — აცხადებს ევროპელი სპეციალისტი ერკი ლიკანენი და დასძენს, რომ — **„ნებისიმიერ გავრცელებულ დაავადებას მშობლები ისე მკურნალობენ, როგორ საკუთარს — ასმევენ იმავე პრეპარატებს, რასაც თავად იღებენ და არ ფიქრობენ, რა სავალალო შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ასეთი წამლების უკონტროლოდ მიღებამ, თუნდაც მცირე დოზით. ამ წამლებს უამრავი პათოლოგია ახლავს და შედეგიც, ხშირად, სავალალოა“.**

„გასაგებია, რომ სპეციალიზებული წამლების გამოშვება მწარმოებელი ფირმებისთვის ხარჯიანია — წვეთები, სიროპი, ფხვნილი, რომელიც ბავშვებისთვისა განკუთვნილი, ცალკე წარმოებას საჭიროებს და ალბათ სწორედ ესაა მიზეზი, რომ ბავშვებისთვის განკუთვნილი პრეპარატების ხვედრითი წილი ბაზარზე საკმაოდ დაბალია“, — აცხადებს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია თავის დასკვნაში და მას ჯანდაცვის ევროპული კომისიაც ეთანხმება — **„ბავშვებისთვის განკუთვნილი არასაკმარისი ფარმაცევტული საშუალებებია არაეფექტური თერაპიის მიზეზი, დიდებისთვის განკუთვნილი ნებიმიერი წამალი საკმაოდ საშიშია, რადგან ხშირად ავიწყდებათ, რომ ბავშვის ორგანიზმის სტრუქტურა განსხვავებულია“.**

გარდა ამისა, ბავშვმა შესაძლოა შემთხვევით დალიოს ნებისმიერი წამალი და პერედოზირებას ლეტალური შედეგიც შეიძლება ახლდეს. ევროპელი ექიმები კი გვირჩევენ განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეკიდოთ ბავშვთა სიცხისდამწევებს, მაგალითად „პანადოლს“, ხოლო პედიატრიის ამერიკული აკადემიის ჟურნალი „პედიატრიკსი“ აღნიშნავს, რომ: **„სიცხე გამოწვეულია ვირუსული ინფექციით და ხშირად არ საჭიროებს მედიკამენტოზურ მკურნალობას, მაგრამ სიცხის დაწევა წამლის საშუალებით ბუნებრივი პროცესი გახდა, არადა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ მაღალი ტემპერატურა ლაბორატორიულ ცხოველებს ინფექციის დამარცხებაში დაეხმარა მაშინ, როცა წამლის გამოყენებამ გაზარდა ლეტალური გამოსავლის რისკი“.** ფაქტია, ტემპერატურა ორგანიზმის იმუნური ფუნქციაა, ხოლო წამლები, რომლის საშუალებითაც მზრუნველი მშობლები ხელოვნურად სწევენ ტემპერატურას, ხშირად საფრთხისშემცველია.

აი, მაგალითად, მთელ მსოფლიოში გავრცელებულ „ასპირინს“ ამერიკელი მედიკოსები მორიელის შხამს ადარებენ ბავშვის ორგანიზმისთვის და სწორედ ამიტომ, მშობლებს რეკომენდაციას აძლევენ, არ დაალევინონ ის ბავშვებს, განსაკუთრებით, ადრეულ ასაკში, რადგან ამ წამლის მიღება სერიოზულ გართულებებს იწვევს. მიზეზი კი საკმაოდ მარტივია — ჯანდაცვის ევროპული კომისიის მონაცემებით, 50-დან 90 პროცენტამდე მედიკამენტები, რომელსაც ბავშვებს ვასმევთ, მათზე არასოდეს გამოუცდიათ და იგივე მდგომარეობაა ორსულებისა და მოხუცების შემთხვევაშიც — მათთვის განკუთვნილი წამლების შედეგს, რომლებიც ლაბორატორიულ პირობებში მიიღეს, წინასწარ ვერასოდეს განჭვრეტ.

აქ დგება მეორე საკითხი — რამდენად შეგვიძლია ვენდოთ ექიმის გამოწერილ წამალს? ან იმ პრეპარატებს, რომლებიც აფთიაქში იყიდება? „გამოკვლეულ მედიკამენტებად, როგორც წესი, ბავშვებისთვის ითვლება ვაქცინა და ანტიბიოტიკები“, — ამბობს ლიკანენი და პედიატრიული კვლევების არარსებობის გამო ბავშვთა მძიმე დაავადებების მკურნალობის ეფექტურობას ეჭვქვეშ აყენებს. მით უმეტეს, რომ ოფიციალური სტატისტიკა სიმშვიდის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა — ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ბავშვთა წამლების მხოლოდ მესამედია ეფექტური, დანარჩენები კი უსარგებლო ან მავნეა!

რატომაა მნიშვნელოვანი კოოპერატივში გაწევრიანება

რა პროექტებს ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად, 2013 წლის 12 ივლისს, საკანონმდებლო ორგანომ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონი მიიღო. კანონის მიხედვით, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო შეიქმნა. ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტი, ფერმერთა ნებაყოფლობითი, სარგებელზე ორიენტირებული კოოპერაციის განვითარებაა. სოფლად კოოპერატივების ჩამოყალიბება ხელს უწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, მიწების კონსოლიდაციასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას, რაც თავის მხრივ იწვევს, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე სოფლის განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თუ ქვეყანას ძლიერი სოფელი სჭირდება, სწორედ კოოპერატივები უნდა შეიქმნას. აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ეკონომიკა სწორედ ასე განვითარდა. კოოპერატივების შექმნის ორი მთავარი პრინციპი ნებაყოფლობითობა და თანასწორუფლებიანობაა. გლეხები და ფერმერები კოოპერატივებში საკუთარი სურვილით წევრიანდებიან და ამ სტრუქტურას დემოკრატიული პრინციპით მართავენ. კოოპერატივის ყველა წევრი თანასწორია, რადგან არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, გლეხი 100 ჰექტარ მიწის ნაკვეთს ფლობს თუ 1 ჰექტარს. კოოპერატივების დემოკრატიულობას ისიც განაზღვრავს, რომ ერთი წევრი, ერთ ხმას ნიშნავს და ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, ყველა წევრი ერთნაირად იღებს.

მას შემდეგ, რაც საქართველოში სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო შეიქმნა, 11 დეკემბრის მონაცემებით, უკვე 407 კოოპერატივი დარეგისტრირდა. გლეხებისა და ფერმერების გაერთიანებას სწორედ ეს სააგენტო ანიჭებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს. სტატუსის მოპოვების შემდეგ კი კოოპერატივები საგადასახადო შეღავათების არეალში ექცევიან. ეს იმას ნიშნავს, რომ კოოპერატივის ქონება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის გამოიყენება, ქონების გადასახადით არ იბეგრება; კოოპერატივის მიერ წარმოებული პირველადი პროდუქციის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და გრანტი მოგების გადასახადით არ იბეგრება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც მაგალითად, სხვა სამეწარმეო იურიდიული პირების შემთხვევაში, 200 000 ლარს შეადგენს.

საგადასახადო შეღავათების გარდა, კოოპერატივებს სახელმწიფო უფასოდ უწევს საინფორმაციო მომსახურებას. მეტიც, მასში გაერთიანებული გლეხების კვალიფიციკაციის ამაღლებაზეც სახელმწიფო ზრუნავს, რათა მათ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა შეძლონ. იმისთვის, რომ კოოპერატივმა ოფიციალური სტატუსი მიიღოს, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, გლეხთა გაერთიანებაში 3 წევრიც საკმარისია, ხოლო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე 5 წევრზე ნაკლები არ უნდა იყოს.

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო უკვე ერთი წელია, წარმატებით ფუნქციონირებს. აქტიურად თანამშრომლობს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან — FAO, „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის“ — ENPARD და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთა ძირითადი მიმართულება სოფლის მეურნეობისა და ზოგადად, აგრარული სექტორის განვითარებაა.

კოოპერატივების საქმიანობის სფეროებია მემარცვლეობა, მეფუტკრეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა, მეკალმახეობა და სხვა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სტიმულირების მიზნით, სახელმწიფო მხარდამჭერ ღონისძიებებს ახორციელებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოოპერატივები საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ; ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარეობს საგრანტო პროგრამები, რომლებიც კოოპერატივების ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს; ხორციელდება „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებითა და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომელიც იტალიური წარმოების, მცირეგაბარიტიანი ტექნიკის შეღავათიანი პირობებით, ანუ თვითღირებულების 23%-ად გადაცემას ითვალისწინებს.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებითა და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება, 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყო. მცირეგაბარიტიან ტექნიკაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სააგენტოსთან ერთად, მზადაა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განაცხადები სრულად დაკმაყოფილოს. ამ პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას, ასევე მათ საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული რთული რელიეფისა და მცირე, ფრაგმენტირებული მიწების დამუშავებასა და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას.

პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, იტალიური წარმოების მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკა — 1 700 მოტობლოკი და 2 000 ხელის სათესი გადაეცემათ. რაც მთავარია, კოოპერატივები მცირეგაბარიტიან ტექნიკას თვითღირებულების მხოლოდ 23%-ის გადახდის პირობით იღებენ. მოტობლოკები გაიცემა კომპლექტში და მოიცავს მოტობლოკს, სათიბს, გუთანს, კულტივატორსა და ხელის სათესს. ერთ კომპლექტზე, დამატებით ერთი ხელის სათესი, სიმბოლურ ფასად — 1 ლარად, გადაეცემა ისეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომელთა ყველა მეპაიე დევნილი, ან ეკომიგრანტია; საქმიანობის ადგილი მაღალმთიანი რეგიონია; საქმიანობის ადგილი საზღვრისპირა ზოლშია; საქმიანობის ადგილი ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელია.

პროგრამის პოტენციური ბენეფიციარები არიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე სუბიექტები. აგროტექნიკის მისაღებად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა განცხადებით უნდა მიმართოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს.

დღევანდელი მონაცემებით, მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკის გადაცემის პროექტის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა 632 მოტობლოკსა და 328 ხელის სათესზე გააკეთეს განაცხადი. ამჟამად უკვე გაცემულია 194 მოტობლოკი და 127 ხელის სათესი. მიმდინარეობს განაცხადების მიღება დარჩენილი მოტობლოკების გასაცემად.

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოსთან. არც ისე დიდი ხნის წინ, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭომ და სააგენტომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გააფორმა. თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტს, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი მიშელაძემ და ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს გენერალურმა მდივანმა, ზვიად ჭუმბურიძემ მოაწერეს ხელი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის მიზნით, მემორანდუმი ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოსა და სააგენტოს თანამშრომლობას გულისხმობს. მემორანდუმი ხელს შეუწყობს დარგობრივი და პროგრამული მიმართულებების მიხედვით, ექსპერტთა აქტიურ ჩართულობას; „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების“ გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტსა და შესაბამისი სტანდარტების დანერგვაში ხელშეწყობას; ორგანიზაციულ მხარდაჭერას პარტნიორებისა და დონორების მოძიებაში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოში, „სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია“ FAO-ს ორგანიზებით, მცირე ფერმერების კოოპერატივის კომპონენტის პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში, რეგულარულად იმართება შეხვედრები. მორიგ სამუშაო შეხვედრას, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სურსათის უვნებლობისა და სოფლის განვითარების ატაშე, ხუან ეჩანოვე და ვროკავშირის „სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის“ — ENPARD-ის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის მიზანი კოოპერაციის პროცესის მიმდინარეობისა და სამომავლო გეგმების განხილვა იყო. ENPARD-ის პროგრამაში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მათ მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების მიმდინარეობაზე ისაუბრეს. ამჟამად, კონკურსების დასკვნითი ეტაპი მიმდინარეობს, ხოლო კონკრეტული შედეგები წლის ბოლოს გამოცხადდება. ENPARD-ის პროგრამით, გათვალისწინებულია 15 000 000 ევროს გაცემა გრანტების სახით, რომელსაც ოთხი კონსორციუმი განახორციელებს, მათ შორის, Oxfam, Care, People in Need და Mercy Corps-ი. ეს პროექტი, 160-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნასა და მათ განვითარებას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო — JIKA-ს მრჩეველს, მიაკე იუკაკოსა და საქართველოში JIKA-ს პროგრამის კოორდინატორს, დავით მგალობლიშვილს შეხვდა. შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა, რომლის ფარგლებშიც, სააგენტოსთან სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრეს.

გიორგი მიშელაძემ სტუმრებს საქართველოში მიმდინარე კოოპერაციის განვითარების პროცესი გააცნო და იმ სახელმწიფო პროგრამების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია, რომლებიც კოოპერატივების სტიმულირების მიზნით ხორციელდება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებაში, იაპონიის გამოცდილების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია და ეს საკითხი გიორგი მიშელაძემ, შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა. მხარეებმა შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებიც განიხილეს, მათ შორის, სააგენტოს შესაძლო ჩართულობა JIKA-ს მიერ შემუშავებულ პროექტში — „ერთი სოფელი ერთი პროდუქტი“ — One village One product.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ანა საბახტარიშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ვიდრე მოცემული რაოდენობის აგროტექნიკა არ ამოიწურება, ე.წ. მოტობლოკების პროექტი გაგრძელდება. მისი თქმით, სააგენტო ამ პროექტის ფარგლებში, მჭიდროდ თანამშრომლობს დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან და დევნილ ბენეფიციარებთან, რომლებიც კომპაქტურ დასახლებებში ცხოვრობენ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის მიზნით, მათთვის სპეციალური საინფორმაციო კამპანია გაიმართება: **„რაც შეეხება სხვა პროექტებს. ძირითადი პროექტები, რომლებიც გათვლილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაძლიერებაზე, 2015 წლიდან დაიწყება. პირველ რიგში, ვითვალისწინებთ რა იმ საჭიროებებსა და პრობლემებს, რაც გააჩნია კოოპერატივებს, ეს არის განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე, სწორედ ამ მიმართულებით ვიწყებთ მუშაობას. საკმაოდ კომპლექსური და დეტალური ტრენინგები ჩატარდება მენეჯმენტის მიმართულებით, რათა გამგეობის წევრებმა კომპეტენტურად მართონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. ეს ტრენინგები მოიცავს გადამზადებას, როგორც ზოგად მენეჯმენტში, ასევე მარკეტინგში, საგადასახადო საკითხებში, ფინანსურ აღრიცხვასა და პროგნოზირებაში, ასევე სამართლებრივ, ანუ სახელშეკრულებო საკითხებში. გარდა ამისა, ჩავატარებთ სპეციალურ, სხვა ფორმატის, ე.წ. ციკლურ ტრენინგებსაც, როდესაც მთელი სასოფლო-სამეურნეო ციკლის განმავლობაში, საკონსულტაციო კომპანია დაეხმარება კოოპერატივს, რათა სწორად წარმართოს სამეურნეო პროცესი. ვიმედოვნებთ, რომ უცხოური და მაღალკვალიფიციური საკონსულტაციო კომპანიები ჩაერთვებიან და დაეხმარებიან კოოპერატივებს. რა თქმა უნდა, ჩვენ არა მხოლოდ კვალიფიკაციის ამაღლებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანაზე ვზრუნავთ, არამედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული და გადამუშავებული პროდუქტის რეალიზაციასაც ვუწყობთ ხელს. ამიტომ, მარკეტინგული მიმართულებით გავაქტიურდებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსკლუზიურად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პროდუქციის არაერთი საინტერესო გამოფენა-გაყიდვა გაიმართება. გამოფენა-გაყიდვა თბილისში და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჩატარდება, რომელიც მრავალფეროვანი ბაზრით გამოირჩევა“.**

ანა საბახტარიშვილის განმარტებით, მარკეტინგული აქტივობების გარდა, სააგენტო შეეცდება, თანამედროვე ყაიდაზე გარდაქმნას კოოპერატივები, რათა ევროპის მასშტაბით აპრობირებული, საინფორმაციო, ელექტრონული მართვის სისტემები დანერგოს. ეს სისტემა იმის საშუალებას იძლევა, რომ საწარმოო პროცესთან თუ ფინანსურ ტრანზაქციებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის გენერირებით, კოოპერატივმა თავისი მეურნეობისა და საწარმოო საქმიანობის წარმართვა შეძლოს: **„რა თქმა უნდა, ერთიანი ელექტრონული მართვის სისტემა ეტაპობრივად დაინერგება. პირველ რიგში, გაიმართება ტრენინგები კოოპერატივებისთვის, ამის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები აღიჭურვებიან „ტაბლეტებით“ და სხვა ელექტრონული ტექნიკის საშუალებებით. ცხადია, ამ სისტემის ელექტრონულ მართვას, ცენტრალიზებულად განახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. გარდა ამისა, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეგვიძლია და გვინდა, რომ გავაკეთოთ კოოპერატივებისთვის, რათა უფრო ეფექტურად განახორციელონ საკუთარი პროდუქციის რეალიზება, არის ე.წ. საინფორმაციო ბანკის დანერგვა. ეს არის სისტემა, რომელშიც ორი კატეგორიის მომხმარებელი გვყავს, ერთი მხრივ, ეს არის კოოპერატივი, რომელიც თავისი პროდუქციისა და წარმოების შესახებ ინფორმაციას განათავსებს და მეორე მხრივ, ესენი არიან შემსყიდველები, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. შემსყიდველები კოოპერატივების შესახებ ინფორმაციას საინფორმაციო ბანკში მოიძიებენ და ამავე ბანკის საშუალებით დაუკავშირდებიან მათ. ვიმედოვნებთ, ამ სისტემის საშუალებით, საკმაოდ მაღალი ნიშნულით გაიზრდება რეალიზაცია, მათ შორის, ქვეყნის ფარგლებს გარეთ. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს ძირითად ფუნქციას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის მხარდამჭერი ღონისძიებები წარმოადგენს, აქტიურად ვმუშაობთ, რათა უზრუნველვყოთ მათთვის საჭირო სერვისებისა თუ საქონლის მიწოდების ადმინისტრირების გამარტივება. უკვე გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „მექანიზატორთან“, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონში აწვდის მომსახურებას სასოფლო-სამეურნეო დარგში ჩართულ პირებს. მემორანდუმის თანახმად, „მექანიზატორს“ უკვე აქვს ვალდებულება, გარკვეული ფასდაკლებით მიაწოდოს მომსახურება მხოლოდ კოოპერატივებს. სწორედ ამ მეთოდით გვინდა გავაგრძელოთ მუშაობა და ფასდაკლება იქნება, თუ მარტივი ადმინისტრირება, გვინდა, ამ სქემაში სხვადასხვა სერვისის მიმწოდებლებიც ჩავრთოთ, რათა კოოპერატივებისთვის ნებისმიერი საქონლისა თუ მომსახურების მიღება გავამარტივოთ“.**

რამდენად ეფექტურია მილსადენების „ჰარმონიზაციის“ ინიციატივა

ზურაბ გარაყანიძე,
ეკონომიკის დოქტორი

მიმდინარე წლის 4 დეკემბერს, რუსეთის ფედერალური კრებისადმი მიმართვაში პრეზიდენტმა პუტინმა, დასავლური სანქციების გამო გართულებული საფინანსო პრობლემების ფონზე, აღიარა თავისი ფავორიტი პროექტის – „სამხრეთის ნაკადის“ შეჩერება. მანამდე, მან აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებთან უკრაინის გვერდისამქცევ ახალ მარშრუტებზე იმსჯელა. ზოგიერთმა უცხოელმა ექსპერტმა რუსეთის მხრიდან „სამხრეთის ნაკადზე“ უარის თქმა „ბრწყინვალე ნაბიჯად“ მონათლა, ზოგმა კი მას ანტირუსული სანქციების ქმედითი შედეგი უწოდა.

ვლადიმერ პუტინის მიმართვა ფედერალური კრებისადმი დასავლეთის ანტირუსული სანქციების წარმატების აღიარებაა

ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ აღნიშნული მოვლენები განიხილა და მიუთითა იმ მთავარ გზავნილებზე, რომლებიც რუსეთის პრეზიდენტის მიმართვაში გაჟღერდა: ყირიმის „საკრალურობა“, დასავლეთთან დიალოგი და ეკონომიკის ლიბერალიზაცია. ამასთან, მან აქცენტი დასავლეთთან „ჩაშლილ“ დიალოგზე გააკეთა.

აშკარაა, რომ რუსული „სამხრეთის ნაკადის“ შეჩერების წინ, ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ორი ძირითადი მოთამაშის – კასპიური აირის მიმწოდებელი აზერბაიჯანისა და ტრანზიტორი თურქეთის მეთაურებთან ვლადიმირ პუტინის შეხვედრა, მიზნად ისახავდა „სამხრეთის ნაკადის“ შემცვლელი მარშრუტის ძებნას. საქმე ისაა, რომ 2014 წლის 19 სექტემბერს, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ანტირუსული ეკონომიკური სანქციების გამკაცრების შესახებ. ევროდეპუტატებმა ევროკავშირის საბჭოს მოუწოდეს გამორთონ რუსეთი SWIFT-ის საერთაშორისო საანგარიშსწორებო სისტემიდან, შეწყვიტონ მშვიდობიანი ატომის სფეროში თანამშრომლობა და შეაჩერონ დაგეგმილი შეთანხმებების გაფორმება ენერგეტიკულ სექტორში – მათ შორის აკრძალონ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ კონკურენტი პროექტის – რუსული „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობა.

სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება ნინო ბურჯანაძის მოწოდება — ახლა დადგა დრო, როცა საქართველომ კრემლს თავის ტერიტორიაზე რუსული გაზის გატარება უნდა შესთავაზოს: **„მივმართავ მთავრობას: გამოიყენოს ეს ისტორიული შანსი და შესთავაზოს რუსეთს და თურქეთს საქართველოს ტერიტორიაზე გაზსადენის გაყვანა. ეს კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას, მათ შორის ევროპაშიც. მოიტანს სერიოზულ პოზიტიურ ეკონომიკურ ძვრებს და, რაც მთავარია, გაამყარებს ქვეყნის სტაბილურობას. ეს პროექტი, ქვეყნის ჭკვიანი მმართველის პირობებში, ჩვენი სამშობლოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების მოგვარების სერიოზული შესაძლებლობა გახდება“.** ქალბატონი ნინო გულისხმობს, რომ რუსეთის ხელისუფლებაში უძლიერესი ენერგეტიკული ლობის არსებობა ამ პროექტის წარმატების საწინდარია. სანაცვლოდ, საქართველოს საშუალება ექნება, რუსეთი მნიშვნელოვან პოლიტიკურ დათმობებზე დაიყოლიოს.

რა მარშრუტით შეიძლება რუსული გაზის ტრანსპორტირება

რუსეთის მიერ 2014 წლის მარტში ყირიმის ანექსიის და ნოემბრის ბოლოს აფხაზეთთან ე.წ. მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების გაფორმების შედეგად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტები, კერძოდ ისინი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტისათვის გამოყენებას გულისხმობს. ამ „დერეფანს“ დასავლეთი უნდა „ერთმუშტად შეეკრა“ და ის რუსულ ენერგომატარებლებზე საბედისწერო დამოკიდებულებისგან ეხსნა, მაგრამ რუსეთის მიერ ყირიმისა და აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიით, საფრთხე დღეს სწორედ „დერეფანს“ შეექმნა.

საქმე ისაა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გაეროს წევრი სახელმწიფოები მიერთებულნი არიან გაერო-ს 1982 წლის „საზღვაო კონვენციას“ (UN Maritime Convenciaon), რომლითაც დადგენილია 12 საზღვაო მილიანი ტერიტორიული წყლები და 200-მილიანი განსაკუთრებული საზღვაო ეკონომიკური ზონები. შავი ზღვის წაგრძელებული გეომეტრიის გამო, მისი ჩრდილოეთ-სამხრეთის ნაპირები ჯამში 400 მილს ვერ აღწევს. ამიტომ, ამ ზღვაზე განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონად 200 მილი კი არა, ქვეყნებს შორის თანაბრად დაშორებული ხაზი, ანუ „მოდიფიცირებული მედიანა“ ითვლება და ზღვას ე.წ. ნეიტრალური წყლები არ გააჩნია.

ყირიმისა და აფხაზეთის ანექსიამდე უკრაინასა და თურქეთს განსაკუთრებული ზონების ყველაზე დიდი სეგმენტები ჰქონდათ. სწორედ ამის გამო, უკრაინის გვერდისამქცევი რუსული „სამხრეთის ნაკადის“ ნოვოროსიისკი-ვარნას საზღვაო სექციის გასაყვანად, რუსეთი, მთელი რიგი დათმობების ფასად, თურქეთს 2009 წელს შეუთანხმდა.

ყირიმისა და აფხაზეთის ანექსიის შედეგად, მარშრუტის ასეთი ცვლილება აღარ იქნება აუცილებელი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შავ ზღვაში საზღვაო განსაკუთრებული ზონა უკრაინას ყირიმის სამხრეთით, და საქართველოს აფხაზეთის სანაპიროსთან, აღარ ექნებათ.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ევროპის ენერგობაზარზე რუსეთი თავის „ენერგეტიკულ იარაღს“, საქართველოში შემოჭრაზე კრიტიკის შესამცირებლად იყენებდა, ამიტომ 2008 წლის ნოემბერში ბრიუსელმა „ევროკავშირის მეორე ენერგორევიუ – ენერგოუსაფრთხოებისა და სოლიდარობის სამოქმედო გეგმა“ დაამტკიცა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების ურთიერთდაკავშირებული მილსადენების სისტემა, ე.წ. ტრანსევროპული ქსელი (TEN). ამავე დროს განისაზღვრა წევრი ქვეყნების „თამაშის საერთო წესები“ ენერგოპროექტების ირგვლივ მესამე მხარესთან მოლაპარაკებებში, ანუ შეიქმნა „საერთი ინტერესების პროექტების“ (PCI) ისეთი მექანიზმი, რომელიც წევრ ქვეყნებს ბრიუსელთან შეუთანხმებლად უკრძალავს ენერგომომარაგებისა და ტრანზიტის ხელშეკრულებების გაფორმებას.

ამის შემდეგ, 2009 წლის 8 მაისს ევროკავშირის პრაღის სამიტზე, მიიღეს ისტორიული დოკუმენტი „სამხრეთის დერეფანი – ახალი აბრეშუმის გზა“, რომელშიც, კასპიისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ერთად, საქართველოც მოიაზრება. ამ დოკუმენტით განისაზღვრა ოთხი სტრატეგიული პროექტი: „ნაბუქო“, „ინტერკონექტორი თურქეთი-საბერძნეთი-იტალია“ (ITGI), „ტრანსადრიატიკული გაზსადენი“ (TAP) და „თეთრი ნაკადი“ (White Stream). სწორედ ეს უკანასკნელი პროექტი დაზარალდა ყველაზე მეტად ყირიმის და აფხაზეთის ანექსიის შედეგად, რადგან ის საქართველო-უკრაინა(ყირიმი)-რუმინეთის მარშრუტს გულისხმობს და ევროკავშირისთვისაც სხვა პროექტებთან შედარებით, მომგებიანია.

„დერეფნის“ დარჩენილი სამივე პროექტი გულისხმობს „შაჰდენიზის“ გაზის საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადით“ (SCP) და თურქეთის ტერიტორიაზე დაპროექტებული „ტრანსანატოლიური გაზსადენით“, – TANAP-ით ევროპაში ტრანზიტს. 2014 წლის 20 სექტემბერს ბაქოში დაიწყო ბაქო-თბილისი-ერზერუმის მარშრუტის „სამხრეთკავკასიური გაზსადენის“ (SCP) მეორე მილის მშენებლობა. ეს მილი საქართველოს საზღვართან SCP-ს არსებულ მილსადენს შეუერთდება. 2019 წლისთვის „შაჰდენიზი 2“-ის გაზი, „ტრანსანატოლიური“ (TANAP) და ტრანსადრიატიკული“ (TAP) გაზსადენებით, იტალიამდე მივა. ეს მოვლენა აზერბაიჯანის ოფიციოზმა „მონათლა“ როგორც „სამხრეთის გაზის დერეფნის“ მშენებლობის ოფიციალური ინაუგურაცია. საინტერესოა, რომ ამჟამად აზერბაიჯანი და თურქეთი TAP-ში და TANAP-ში აქციების უმრავლესობას ფლობენ, რაც ბაქოს და ანკარას ამ პროექტების დასრულების შემდეგ, მათზე სრული კონტროლის საშუალებას მისცემს. ეს მაშინ, როცა ევროკავშირის გლობალური პროექტი „ნაბუქო“, როგორც „დერეფნის“ უმთავრესი ელემენტი, სავარაუდოდ, აღარ განხორციელდება.

როგორია ჰარმონიზაციის „გაკვეთილები“ საქართველოსთვის

XX ს. ბოლოდან კასპიისპირეთში ენერგომატარებლების ფართომასშტაბიანმა მოპოვებამ და ტრანზიტმა, ერთი მხრივ, უზრუნველყო საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოება, მეორე მხრივ, სტაბილური ექსპორტისათვის, განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, საჭირო გახდა ამ ქვეყნების სამხედრო და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დღეს ეს საკითხი ისევ აქტუალურია.

ექსპერტები, 2008-2009 წლების ევროზონის ფინანსური პრობლემების ფონზე არ გამორიცხავდნენ „დერეფნის“ პროექტების გაიაფების მიზნით, მათ სხვადასხვა ფორმით ტრანსფორმაციას.

ერთ-ერთი ასეთი ტრანსფორმაციული იდეაა ევროპული და რუსული გაზსადენების გაერთიანება ფინანსური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. ეს საკითხი პირველად 2010 წლის დასაწყისში დაისვა. 2011 წლის 10 იანვარს, ის კვლავ წამოჭრა აშშ-ს ელჩმა იტალიაში დ. ტორნმა. ამგვარი გაერთიანების იდეას რუსეთში მართალია ღიად უარყოფდნენ, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, „სამხრეთის ნაკადის“ შეჩერებამ შეიძლება გარკვეული როლი შეასრულოს და „გაზპრომი“ აიძულოს, უკრაინული გაზის ქსელის გვერდისამქცევ სხვა მარშრუტზე დაიწყოს ფიქრი, ან ევროპულ ბაზარზე თავისი გაზი გაცილებით ნაკლებ დანახარჯიანი მარშრუტით გადაგზავნოს. ამ პროექტებიდან უკრაინასთან, მხოლოდ ყველაზე ნაკლებად დამუშავებული, იდეის დონეზე არსებული, „თეთრი ნაკადი“ იყო ასოცირებული. თანაც, უკრაინის გაზის ქსელის გამტარუნარიანობა შეზღუდულია. ექსპერტების გათვლებით, უკრაინაზე ტრანზიტი გაზზე ევროპის მზარდ მოთხოვნას სრულად ვერ დააკმაყოფილებს. ამიტომ, პროექტების არა უკრაინის საშუალებით, არამედ სხვა ფორმატში გაერთიანებას, ახლა რუსეთმა შეიძლება დაუჭიროს მხარი. ექსპერტულ წრეებში უკვე გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ შეიძლება მოსკოვში ევროპული „დერეფნის“ გაზსადენებთან რუსული აირის დაკავშირების ადგილის მოძიება დაიწყონ.

გარდაბანი — რუსულ-აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის მომავალი „ჰაბი“

დღევანდელ პირობებში, ადგილი, სადაც რუსეთის და კასპიისპირეთის გაზის დასავლური მარშრუტები იკვეთება, არის საქართველო. კერძოდ, საქართველოში გადის „ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი“, რომელიც რუსეთის ქალაქ მოზდოკიდან საქართველოს ტერიტორიით სომხეთს უკავშირდება. ის ქალაქ გარდაბანსა და სოფელ ჯანდარას შორის კვეთს „სამხრეთ კავკასიურ გაზსადენს“ (SCP), რომლითაც ამჟამად „შაჰ-დენიზის“ პირველი სტადიის გაზი არა მარტო თურქეთს, არამედ მისი გაზის ქსელით, ევროკავშირის წევრ ქვეყანას, საბერძნეთსაც მიეწოდება. SCP გაზსადენიდან საქართველო, სატრანზიტო მოსაკრებლის სახით, გატარებული გაზის 5%-ს იღებს უფასოდ, 5%-ს — შეღავათიან ფასად.

„მაგისტრალური გაზსადენი“, ორი დაწყვილებული მილისგან შედგება, — ძირითადი მილის დიამეტრია 1200 მმ, ხოლო სათადარიგოსი, — 700 მმ. დღეს ამ გაზსადენის ძირითადი მილით გაზი სომხეთს მიეწოდება, ვინაიდან საქართველო 2007 წლიდან „შაჰ-დენიზი 1“-ის გაზით მარაგდება.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ეს გაზსადენი, საპროექტო სიმძლავრესთან შედარებით (წლიურად 18 მლრდ კუბმეტრი), გაცილებით ნაკლები დატვირთვით (1.93-1.44 მლრდ კუბმეტრი) მუშაობს. თუმცა, საბჭოთა პერიოდშიც, მისი დატვირთვა არ აჭარბებდა წლიურად 9.5 მლრდ კუბმეტრს. ამჟამად, „მაგისტრალური გაზსადენიდან“ ტრანზიტის საფასურად „საქართველოს გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია“ იღებს გატარებული რუსული გაზის 10%-ს, რაც 2008-2011 წლებში 193-144 მლნ კუბმეტრის ფარგლებში მერყეობდა. ეს კი საქართველოს გაზის მოხმარების 11.2-11.0%-ია.

დასასრული მე-10 გვერდზე

ვერსიანიუსი

ოფიციალური თბილისისთვის ლეონიდ თიბილოვის განცხადება შემაშფოთებელი და საფრთხისშემცველია

დე ფაქტო პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვის განცხადებით, **„რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის მოკავშირეობისა და პარტნიორობის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს“.** მისივე თქმით, ამ დროისთვის უკვე არსებობს მთელი რიგი წინადადებები და ჩატარებულია კონსულტაციები რუს კოლეგებთან, კერძოდ კი, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის დსთ-ის, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან თანამშრომლობის სამმართველოს ხელმძღვანელ ოლეგ გოვორუნთან: **„გამოვედი ინიციატივით, რომ მომავალ შეთანხმებაში განხილული იყოს სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში პირდაპირი შესვლის შესახებ საკითხი, ვიდრე სხვა ფორმები იქნება შემოთავაზებული. არსებობს ქვეყნების პოლიტიკური თანაარსებობის სხვადასხვა ფორმა. ვფიქრობ, უახლოეს დროში მივიღებთ პასუხს ამ შეთავაზებაზე“.**

თიბილობის თქმით, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან შეხვედრისას საუბარი ასევე შეეხო რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობასა და უსაფრთხოებას. დეფაქტო პრეზიდენტის განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. სპიკერის, დავით კერესელიძის განცხადებით, სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება რუსეთთან ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებას მოინდომებდა. როგორც კერესელიძემ აღნიშნა, ამ თემაზე უკვე დაწყებულია მუშაობა საქართველოს მეგობარ, პარტნიორ ქვეყნებთან და ყველა ინფორმირებულია: **„ეს არის აბსოლუტურად დესტრუქციული განცხადება როგორც ცხინვალის, ასევე რუსეთის მხრიდან. ჩვენი ქმედითი ბერკეტია, ავტეხოთ განგაში საერთაშორისო დონეზე“.**

„ვერსიანიუსი“

„საუკეთესო სიმღერა ჯერ არ დამიწერია და ყველაფერი წინ მაქვს“

გრიბოედოვის თეატრში კომპოზიტორ ია მაისაიას შემოქმედებითი საღამო „დაბრუნებამდე“ გაიმართა

რუსუდან შელია
557-100-768

თბილისის მერიის მხარდაჭერით, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში, სოხუმელი კომპოზიტორისა და მომღერლის, ია მაისაიას შემოქმედებითი საღამო „დაბრუნებამდე“ გაიმართა. ღონისძიება ია მაისაიას დაბადების დღეს დაემთხვა და აფხაზეთს მიეძღვნა. საღამოზე კომპოზიტორის მიერ შექმნილი ქართული და რუსული სიმღერები, ავტორთან ერთად ცნობილმა მომღერლებმა, აჩიკო ნიჟარაძემ, სოფო ბედიამ, ელენე ფოჩხუამ, დათო ჭალიძემ, საქართველოს სახელმწიფო კაპელამ და ანსამბლმა „მუხამბაზმა“ შეასრულეს. კომპოზიტორის განვლილ შემოქმედებით ცხოვრებასთან დაკავშირებით თბილი სიტყვები არ დაიშურეს პოეტებმა — გენო კალანდიამ, მიმოზა ცანავამ, მწერალმა ნანა ქარდავამ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავამ, კომპოზიტორმა მაცაცო სეფისკვერაძემ... საღამო გულწრფელი ცრემლით, აპლოდისმენტებით, აფხაზეთის მოგონებითა და სოხუმში დაბრუნების იმედით დასრულდა. კომპოზიტორი ია მაისაია ასზე მეტი სიმღერის ავტორია და სამი კრებული აქვს გამოცემული — „სიმღერები აფხაზეთზე“, „დაბრუნებამდე“, „საფორტეპიანო პიესები და ანსამბლები“. ასევე არია საავტორო ფილმისა „არ დავმშვიდდები შენთვის, აფხაზეთო“. ია მაისაია დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, შერვაშიძის სახელობის პრემიით, უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. „ვერსია“ კომპოზიტორ ია მაისაიას ესაუბრება:

— დიდი ხანია მეგობრები და ახლობლები კონცერტის გამართვას მთხოვენ. შარშან დავგეგმეთ კიდეც, მაგრამ შემდეგ სამჯერ გადავდეთ. ვერ ვბედავდი ასეთი მასშტაბური ღონისძიებისჩატარებას, ეს ჩემთვის საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა. შემოქმედებითი საღამო ერთგვარი ანგარიშია და, ამავე დროს, ერთგვარი ტესტი იმის გასაგებად, რამდენად მიმიღო მსმენელმა. დღეს ბედნიერი ვარ, რადგან საღამომ კარგად ჩაიარა. მივიღე უამრავი სითბო, სიყვარული, რაც ძალას მმატებს და მაძლიერებს.

— საღამო აფხაზეთს მიუძღვენით. თუ გრძნობთ იგივე სიყვარულს აფხაზებისგან და საერთოდ, თუ გაქვთ აფხაზეთში დაბრუნების იმედი?

— რა თქმა უნდა, გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ. მჯერა, მალე აფხაზეთში დავბრუნდებით... ჩემი სიმღერები აფხაზებთან ერთად მთელმა საქართველომ მიიღო. ადრე მეგონა, აფხაზეთის თემა განსაკუთრებით დევნილებს აწუხებდათ, მაგრამ ასე არ ყოფილა. უამრავმა თბილისელმა ჩვენი ტკივილი გულთან ახლოს მიიტანა, მათ თვალებში ცრემლებიც შევნიშნე. ყოველთვის ვმღეროდი. მემღერებოდა ბედნიერებისგან, სიყვარულისგან. ახლა კი, მშობლიური კუთხის მონატრება და დაბრუნების იმედი მამღერებს. მჯერა, მალე მონატრებულ სოხუმს ვიხილავ. ჩემი სიმღერებით, მონატრებას ვუმკლავდები... მადლობას ვუხდი თბილისის მერიას, პირადად დავით ნარმანიასა და საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრს, მის ხელმძღვანელს ავთანდილ დავითაიას, რომელთა დახმარებითაც კონცერტი გაიმართა. ასევე ყველა იმ ადამიანს, რომელმაც წვლილი შეიტანა ღონისძიებაში: მომღერლებს, რეჟისორ ნუგზარ ჩხაიძეს, ზაზა ალექსიძეს, კონცერტმაისტერ თამილა ჩიხრაძესა და ყველას, ვინც საღამოზე მოვიდა.

— ფაქტია, მსმენელს მოენატრეთ და ეს საღამოზეც კარგად გამოჩნდა. მომავალშიც გეგმავთ მსგავსი შემოქმედებითი საღამოების გამართვას?

— იმდენად ემოციური საღამო იყო, რომ კონცერტის დასრულების შემდეგ მსმენელს თითქოს უკმარისობის განცდა დარჩა. წასვლა არავის უნდოდა... რამდენიმე სიმღერის პრემიერაც შედგა. ერთ-ერთი იყო „იმედი“, რომელიც საქართველოს სახელმწიფო კაპელამ შეასრულა. ეს მართლაც ემოციური გამოსვლა იყო. დიახ, გააქტიურების სტიმული მართლაც მომეცა, რადგან მაყურებლისგან წარმოუდგენლად დიდი სითბო და მხარდაჭერა მივიღე. მათ სიახლეებს აუცილებლად შევთავაზებ. მაქვს გეგმები, რომლებსაც ჯერჯერობით, ვერ გავახმაურებ. მინდა, მსგავსი ღონისძიება ქუთაისშიც ჩავატარო... მჯერა, საუკეთესო სიმღერა ჯერ არ დამიწერია და ყველაფერი წინ მაქვს.

თავისუფალი ტრიბუნა

რამდენად ეფექტურია მილსადენების „ჰარმონიზაციის“ ინიციატივა

მე-9 გვერდიდან

სომხეთის კონტროლის პალატის 2009-10 წწ. ენერგოსისტემის შემოწმების მასალებიდან ირკვევა, რომ სომხეთში იმპორტირებული ირანული გაზის ნაწილი საქართველოსაც მიეწოდება, რის სანაცვლოდაც სომხეთში „ერევნის თბოელექტროსადგური“ საქართველოდან იღებს ელექტროენერგიას თანაფარდობით, — 1 კუბმეტრ ირანულ გაზში 4.5 კვტ/სთ ელექტროენერგია. სომხეთში იგივე ელექტროსადგური 1 კუბმეტრ ირანულ გაზში, რომელიც „არმროსგაზპრომის“ „თავრიზი-მეგრის“ გაზსადენით მიეწოდება, ირანს უბრუნებს 3 კვტ/სთ ელექტროენერგიას. ნათელია, რომ „ერევნის თბოელექტროსადგური“ საქართველოში გატანილსა და ირანიდან მიღებულ გაზის ყოველ კუბმეტრს შორის 1.5 კვტ/სთ ელექტროენერგიის ტოლ სხვაობას იღებს. ამის შედეგია, რომ თუ 2009 წელს „ერევნის თბოელექტროსადგურმა“ საქართველოში 259 მლნ დრამის გაზი შემოიტანა, უკვე 2010 წელს ეს მაჩვენებელი გაათმაგდა და 2.2 მლრდ დრამი შეადგინა, რამაც სომხეთს საკმაოდ დიდი რაოდენობით ქართული ელექტროენერგია მისცა.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ „მაგისტრალური გაზსადენის“ ერთ-ერთი მილით საქართველოს ირანული გაზის მცირე რაოდენობა უკვე მიეწოდება. თუ ვთქვათ, ამ გაზსადენის 1200 მმ-იანი მილი გარდაბანთან SCP-ს დაუკავშირდება, მაშინ ის შესაძლებელია გადაიქცეს რუსული გაზის ერთი ნაწილის, რომელიც „სამხრეთის ნაკადისთვის“ იყო განკუთვნილი, დასავლეთისკენ საექსპორტო ახალ მარშრუტად. ეს გაზი, SCP-ს გავლით, შემდგომში „ნაბუქოთი“ ან „ტრანსადრიატიკით“ (TAP), ანუ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ რომელიმე გაზსადენით, ან „ტრანსანატოლიური გაზსადენით“, თურქეთიდან ევროპაში გაიგზავნება.

მიუხედავად ბრიუსელის წინააღმდეგობისა, სავარაუდოდ, აშშ-ს მხრივ გაზსადენების გაერთიანების იდეის კვლავ წამოწევა, ევროპაში გაზის საექსპორტო პროექტებს შორის კონკურენციის შესუსტებას ისახავს მიზნად. ამ მიზეზით, ეს იდეა ევროკავშირის ფინანსური პრობლემების ფონზე, შესაძლოა მალე ბრიუსელისთვისაც მიმზიდველი აღმოჩნდეს. ეს ევროპას გაზმომარაგების ალტერნატიული მარშრუტების განხორციელებას გაუადვილებს, ვინაიდან „სამხრეთის გაზის დერეფნის“ განხორციელებით უკვე მოსკოვიც დაინტერესდება და მოიხსნება ამ დერეფნისადმი რუსეთის ანტაგონიზმი. მეტიც, ეს კავშირი რუსულ და ევროპულ პროექტებს ურთიერთშემავსებელს გახდის, რითაც საქართველომაც შეიძლება ნახოს სარგებელი. კერძოდ:

ჯერ ერთი, ამ გზით გაიზრდება საქართველოზე გამავალი რუსული, აზერბაიჯანული და ირანული გაზის ნაკადები. შესაბამისად, მოიმატებს ქვეყანაში უფასოდ და შეღავათიანად დარჩენილი გაზის მოცულობა. ამით შეივსება ნახევრად დაუტვირთავი SCP და „მაგისტრალური“ გაზსადენები, და საქართველოს სატრანზიტო ამონაგები გაიზრდება, ისე რომ დამატებით ხარჯების გაწევა არც ქვეყნის ბიუჯეტიდან და არც დასავლელი დონორების მხრიდან საჭირო არ იქნება, — აუცილებელი იქნება მხოლოდ მილების გადაკვეთაზე — გარდაბანთან, ჯანდარაში ე.წ. ინტერკონექტორის აგება.

მეორე, გაიზრდება ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება, რადგან SCP-სთან მიერთებით რუსეთი დაინტერესდება „მაგისტრალური გაზსადენის“ მაქსიმალურად შევსებით და მისი გამართული მუშაობით, რადგან ეს მილი რუსეთს ახალი მარშრუტით, მაღალი წარმადობის დასავლურ საექსპორტო გაზსადენებთან დააკავშირებს. ასევე, გაიზრდება დასავლეთის მიერ საქართველოს უსაფრთხო სატრანზიტო დერეფნად გამოყენების ინტერესი, რადგანაც საქართველო გადაიქცევა გაზმომარაგების რეგიონულ კვანძად.

მესამე, SCP-სა და „მაგისტრალური“ გაზსადენების ურთიერთდაკავშირება ირანისა და სომხეთის ინტერესებსაც დააკმაყოფილებს. ირანის გაზის ექსპორტის ეროვნული კომპანიის დირექტორმა განაცხადა, რომ ირანი აპირებს სამჯერ გაზარდოს გაზის ექსპორტი და მსოფლიო გაზით ვაჭრობაში თავისი წილი 2%-დან 2015 წლისათვის 10%-მდე გაზარდოს. ჩინოვნიკმა ხაზი გაუსვა, რომ ამას თეირანი თავისი გაზის რუსეთში (რომელი მილით, უცნობია?!) და სხვა მეზობელ ქვეყნებში გატანით შეეცდება.

კერძოდ, ზოგიერთი ქართველი სპეციალისტის ნაშრომში მითითებულია, რომ „მაგისტრალური გაზსადენის“ ძირითადი მილი, რომლითაც ის გარდაბანთან SCP-ს შეუერთდება, შესაძლებელია მეორე ბოლოდან რევერსით, „თავრიზი-მეგრის“ გაზსადენისა და სომხეთის გაზის ქსელის გავლით, გახდეს გარდაბნის მომავალ „ჰაბში“ გაზის სამხრეთიდან მიღების საშუალება. თავის დროზე — 2005–2006 წლებში, ამ აზრს, სრულიად სამართლიანად, „მაგისტრალური გაზსადენის“ პრივატიზაციის მოწინააღმდეგეები ავითარებდნენ. ეს იდეა სომხეთისთვის მისაღებია, რადგან ამ გზით ის თავის დიდი ხნის ოცნებას აისრულებს და პანევროპულ პროექტში ჩაერთვება. თანაც ერევანი რუსეთისაგან ალტერნატიული გაზმომარაგების წყაროსა და სატრანზიტო მოსაკრებლებს მიიღებს. ამასთან, რუსეთიდან მისი გაზმომარაგება ჩვეულებრივ გაგრძელდება „მაგისტრალური გაზსადენის“ 700 მმ-იანი სათადარიგო მილით, რომლის სიმძლავრე, სომხეთის დღევანდელ მოთხოვნილებას (2011–2013 წწ. წელს ეს მაჩვენებელი საშუალოწლიურად დაახლოებით 2 მლრდ კუბმეტრი იყო), სრულად დააკმაყოფილებს.

ამრიგად, გარდაბნის რუსულ-აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის „ჰაბი“ რეგიონის ყველა ქვეყნის და რაც მთავარია – საქართველოს ინტერესებს დააკმაყოფილებს.

105 ახალი საწარმოს პრეზენტაცია გაიმართა

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში 580 საწარმოს გადაიარაღება მოხდა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის განმარტებით, სახელმწიფო, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას განაგრძობს და ამ მიზნით ასობით მილიონი ლარის ღირებულების კრედიტია გაცემული: **„დაფინანსებულია ძალიან ბევრი საწარმო, მათ შორის 580 არის გადაიარაღებული, 86 ახალი საწარმოა. ჯამში, 105 საწარმო დაფინანსდა და 10 100-ზე მეტი სამუშაო ადგილია შექმნილი ამ პროექტების ფარგლებში. სამინისტრო ბუნებრივია, ამ მიმართულებით აგრძელებს მუშაობას, ვახორციელებთ ახალ ცვლილებებს, რომელიც ნაწილობრივ უკვე შესულია ძალაში და დიდი ნაწილი პირველი იანვრიდან ამოქმედდება“.**

პრეზენტაციას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო.

„პირველი“

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4					6		5	
		2	3				4	1
	6				9		8	
3		5						
			9		4			
						7		4
	7		1				3	
6	2				5	1		
	9		6					2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8			6	1			2	
				4	9		6	
1					5			4
		9			7	6		
		5	2			9		
9			1					5
	1		9	8				
	4			5	2			1

ᲠᲗᲣᲚᲘ

		6	5	3				8
						7	6	
					6	3		4
8	9	3		7	1			5
1			9	6		8	7	3
9		1	2					
	2	7						
5				9	3	2		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	9	7	1					
6			3	2				
3					8			5
	5		6			2		
		9		7		4		
		6			2		7	
9			2					4
				4	6			8
					5	3	6	

ბაყაყების კოქტეილი – უნივერსალური წამალი

პერუს მაღალმთიანი სოფლებში დიდი ხანია, უარი თქვეს თანამედროვე მედიცინაზე და სამკურნალოდ ხალხურ საშუალებებს მიმართავენ, რომელიც ერთბაშად ყველა ჭირისგან გათავისუფლებას პირდება. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა სმუზი ბაყაყების წვენისგან. არ არსებობს არანაირი სამედიცინო მტკიცებულება, რომ ასეთ წვენს შველა შეუძლია, თუმცა, ადგილობრივები დარწმუნებულნი არიან, რომ კურნავს დაქვეითებულ ლიბიდოს, ასთმას, ანემიას, ბრონქიტს, ხსნის სტრესს, კურნავს ძვლების, ტვინის დაავადებებს, ტუბერკულოზს, დაღლილობას... ამ უნივერსალური წამლის დასამზადებლად იყენებენ Telmatobius culeus-ის სახეობის ბაყაყებს, ხოცავენ და კანს აცლიან. მერე ბაყაყს ბლენდერში, ტიტიკაკას ტბიდან მოპოვებულ წყალთან ერთად ათავსებენ. ზოგჯერ სმუზის უმატებენ რაიმე სასარგებლო ინგრედიენტსაც, მაგალითად, სტაფილოს, თაფლს ან პერუს ყაყაჩოს ბოლქვებს. მიიღება მწვანე ფერის სასმელი, რომელსაც დიდებსაც ასმევენ და პატარებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ბაყაყების სმუზის მედიკოსები მეტად სკეპტიკურად უყურებენ, ის მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობს ქვეყანაში.

აზიაში ხმის შეცვლის მოდაა

ჩინეთში ბოლო დროს სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს უჩვეულო ოპერაცია ხმის შეცვლის მიზნით. ამ ქირურგიული ჩარევის შემდეგ ადამიანს შეუძლია, ხმა დაიბოხოს ან დაიწვრილოს. ადრე მსგავს ოპერაციებს მხოლოდ ისეთ პაციენტებზე ატარებდნენ, ვინც სქესს იცვლიდა. ამ პროცედურის ძირითადი რისკი ხმის სრული დაკარგვა და პნევმონიაა. თუკი კლიენტს სურს ტემბრის დადაბლება, ქირურგი აჭრის ხახიდან რბილობის ნაწილს და ხმის იოგებში შეყავს ბოტოქსი. ამ ინექციის გამო იოგები მოკლდება და უფრო ბრტყელი ხდება. ბოტოქსი კი საკითხის დროებითი გადაწყვეტაა. თუმცა, ეს პროცედურები ერთადერთი საშუალებაა იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანს არ სურს სქესის შეცვლა და ტესტოსტერონის მიღება, მაგრამ ხმის დაბოხება უნდა. რაც შეეხება გვერდით მოვლენებს, აქ ყველაფერი იოგებთან მანიპულაციაზეა დამოკიდებული. ნორმალურ მდგომარეობაში ისინი იცავს ფილტვებს არასასურველი ელემენტების მოხვედრისგან. ბოტოქსისგან გამოწვეული დროებითი პარალიჩი კი ადამიანს ამ ბუნებრივ დაცვას აცლის. შედეგი პნევმონიაა. ხმის ასაწევად სპეციალისტები მსურველებს ტიტანის ფირფიტების ჩადგმას სთავაზობენ ყელის კუნთებს შორის (ასე იოგები გაიწელება). ასევე აჭრიან იოგების ნაწილს ან ლაზერით წვავენ. ეს ნაკვეთ ქსოვილს წარმოქმნის და იოგა უფრო მკვრივი ხდება, ხმა კი — მაღალი.

დისთვის ქმარს ინტერნეტ-აუქციონზე ეძებს

ბრიტანელმა ახალგაზრდამ, კაილ მაალემმა eBay-ს აუქციონზე საკუთარი და — სემი გაიტანა. კაილმა გადაწყვიტა, საყვარელ ადამიანს მეორე ნახევარი ამგვარად მოუძებნოს. დას ახალგაზრდამ საწყისი ფასი 50 გირვანქა სტერლინგი (80 დოლარი) დაადო და მიუთითა, რომ მისი განცხადება სრულიად სერიოზულია და „მყიდველსაც“ ასეთივე მოთხოვნებს უყენებს. „ლოტის“ აღწერაში ნათქვამია, რომ სემი ლონდონელია, ამჟამად კი ქალაქ კარდიფში, ოჯახის კუთვნილ საიუველირო ფირმაში მუშაობს. სემს კარგი ხასიათი აქვს, მაგრამ ბიჭებთან არ უმართლებს, ამიტომაც მისი გათხოვების საქმე ოჯახმა ითავა. როგორც ამბობს, ძმის განცხადება ჯერ „უკბილო“ ხუმრობა ეგონა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ის სერიოზულადაა განწყობილი და ნება დართო, სასიძო მოძებნოს. სემი პირობას დებს, რომ აუქციონის გამარჯვებულთან აუცილებლად წავა პაემანზე.

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	3	8	2	1	6	9	5	7
9	5	2	3	8	7	6	4	1
1	6	7	5	4	9	2	8	3
3	4	5	7	6	1	8	2	9
7	8	6	9	2	4	3	1	5
2	1	9	8	5	3	7	6	4
8	7	4	1	9	2	5	3	6
6	2	3	4	7	5	1	9	8
5	9	1	6	3	8	4	7	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	7	4	6	1	3	5	2	9
3	5	2	8	4	9	1	6	7
1	9	6	7	2	5	3	8	4
4	8	9	5	3	7	6	1	2
2	6	1	4	9	8	7	5	3
7	3	5	2	6	1	9	4	8
9	2	8	1	7	6	4	3	5
5	1	3	9	8	4	2	7	6
6	4	7	3	5	2	8	9	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	7	6	5	3	2	1	9	8
3	5	8	1	4	9	7	6	2
2	1	9	7	8	6	3	5	4
8	9	3	4	7	1	6	2	5
7	6	5	3	2	8	9	4	1
1	4	2	9	6	5	8	7	3
9	3	1	2	5	7	4	8	6
6	2	7	8	1	4	5	3	9
5	8	4	6	9	3	2	1	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	9	7	1	5	4	6	3	2
6	4	5	3	2	9	8	1	7
3	2	1	7	6	8	9	4	5
7	5	4	6	8	3	2	9	1
2	3	9	5	7	1	4	8	6
1	8	6	4	9	2	5	7	3
9	6	8	2	3	7	1	5	4
5	1	3	9	4	6	7	2	8
4	7	2	8	1	5	3	6	9

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

მე-10 გვერდი: 1. ბულდოგი; 2. „ურმული“; 3. დილემა; 4. გიტარა; 5. გონორეა; 6. ოსვენციმი; 7. ოინი; 8. ესთეტიკა; 9. ამულეტი; 10. ადესა; 11. არგონი; 12. ამფიბია; 13. სვანეთი; 14. ავარა; 15. ოროლი; 16. რტო; 17. „ლამარა“; 18. აკაკი; 19. ენა; 20. კოკაი; 21. არკა; 22. ტიარა; 23. მარადია; 24. რინიტი; 25. არსიანი; 26. ცვარი; 27. ატრია; 28. „სიტროენი“; 29. ინდი; 30. კასტორი; 31. ტაიმი; 32. იაკი; 33. მალარმე; 34. ფაუნა; 35. აბასი; 36. აინი; 37. რობინია; 38. აზარტი; 39. აბელი; 40. მაია; 41. იოდი; 42. აბი; 43. რაბი; 44. აბაი; 45. ამინ; 46. ასო; 47. მობი; 48. ატა; 49. ვო; 50. ბორი; 51. იონი; 52. საადი; 53. დონ; 54. ბეტა; 55. მაზინა; 56. მოდერატო; 57. იგლუ; 58. ესე; 59. ვიბრიონი; 60. ორბი; 61. ავიაცია; 62. უდი; 63. გრო; 64. ინა.

მე-12 გვერდი: 1. ფხოვი; 2. ვერხვი; 3. ენგური; 4. ხმიადი; 5. ფიწალი; 6. ოფელია; 7. იდილია; 8. იგროკა; 9. ოლიგარქი; 10. ექოლოტი; 11. მწყერი; 12. ცთომილი; 13. ნდოლა; 14. როდეო; 15. ოლარი; 16. ელცინი; 17. არსი; 18. არიცია; 19. ქილია; 20. ძნა; 21. კნოპი; 22. ადათი; 23. ომი; 24. „ეფესი“; 25. აფალინა; 26. სიგალი; 27. ლორა; 28. მაიკლ ბაბლე; 29. ჩია; 30. ალკმენე; 31. დიქცია; 32. სატირა; 33. ელჩი; 34. ოლე; 35. პრესლი; 36. რარიტეტი; 37. „სეიკო“; 38. ელე; 39. კიი; 40. გრაალი; 41. ორგია; 42. პლატინა; 43. პაპი; 44. ბუა; 45. „აივენჰო“; 46. ლარისა; 47. სატელიტი; 48. ეკონომიკა; 49. იმოლა; 50. სტილეტი; 51. ილიე; 52. „აბბა“; 53. ჭრელა; 54. მიმიკრია; 55. შუბლი; 56. ეშმაკი; 57. მაკე; 58. იადონი; 59. მუსკია; 60. კოალა; 61. ოტელო; 62. ლოტო; 63. ეჟვანი; 64. კედი; 65. ლეტო; 66. ტონაჟი; 67. ელინი; 68. ნოსტე; 69. ელიბო; 70. ინდი; 71. ამია; 72. ეტი; 73. ალო; 74. ამიაკი; 75. პას; 76. დოჰა; 77. ოლდ; 78. მინა; 79. სან; 80. ოლოლი; 81. „ონა“; 82. ანიონი; 83. ნასკვი; 84. ზმა; 85. სნო; 86. აგნი.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

„საქართველოს ბანკმა“ არაპროფილური აქტივები გამიჯნა

„საქართველოს ბანკმა“ არაპროფილური აქტივები გამიჯნა. „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის განახლებული სტრუქტურა სრულად შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს ეროვნული ბანკის ახალ მოთხოვნებსა და რეგულაციასთან, რომელიც კომერციული ბანკების მიერ არასაბანკო ბიზნესის ფლობის აკრძალვას ეხება. ახალი კორპორაციული სტრუქტურის ძალაში შესვლა და არაპროფილური ბიზნესების გამიჯვნა 2015 წლის ბოლომდე დასრულდება. ბანკში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, ჟურნალისტებს, საგანგებო ბრიფინგზე გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა ამცნო და მისი შემცვლელი, მურთაზ კიკორიაც წარუდგინა. ეს უკანასკნელი „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის თანამდებობას 2015 წლის ზაფხულში, მას შემდეგ დაიკავებს, რაც ირაკლი გილაური ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში გადავა.

ირაკლი გილაური: — „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული სტრუქტურის განახლების შედეგად, მოხდა იურიდიული რესტრუქტურიზაცია და საბანკო-საფინანსო და არასაბანკო ბიზნესების გამიჯვნა. აქედან გამომდინარე, ბანკი სრულად ფოკუსირდა საბანკო საქმიანობაზე. არაპროფილური აქტივები კი, მთლიანად გაერთიანდება ცალკე საინვესტიციო მიმართულებად და შევა საქართველოს ბანკის ჰოლდინგის (Bank of Geprgia Holdings plc) პირდაპირ დაქვემდებარებაში. შედეგად, არასაბანკო ბიზნესი საქმიანობას განაგრძობს „საქართველოს ბანკისგან“ დამოუკიდებლად. სტრუქტურული ცვლილებების კვალდაკვალ მოხდა მენეჯმენტის გამიჯვნა საბანკო და არასაბანკო მიმართულებების მიხედვით და ცვლილებები შევიდა ბანკის მენეჯმენტის შემადგენლობაშიც — 2015 წლის ზაფხულში, გადავალ „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოში და ასევე დავიკავებ საქართველოს ბანკის ჰოლდინგური კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობას. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე კი დაინიშნება მურთაზ კიკორია, რომელიც მანამდე ბანკის ფინანსური დირექტორის მოვალეობას შეასრულებს.

— როგორ მოგვარდება ფინანსური ურთიერთობები ჰოლდინგსა და ჰოლდინგში შემავალ კომპანიებს შორის და ამ გამიჯვნით რეალურად გაიზრდება თუ არა კონკურენცია ბაზარზე, რა მიზნითაც პრინციპში, ბანკებს არაპროფილური საქმიანობა აეკრძალათ?

— არ მგონია, ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზანი კონკურენციის გაზრდა იყოს. თუნდაც იმიტომ, რომ მაგალითად m^2 რომ არ იყოს ბაზარზე, კონკურენცია, მგონი, ნაკლები იქნებოდა. აქ საუბარია ინტერესთა კონფლიქტზე — ბანკი სხვა დეველოპერულ კომპანიასაც გამოუყოფს თუ არა სესხს. ჩვენ ეს აქამდეც გამიჯნული გვქონდა და სესხის მიცემაზე, სხვა კომპანიებს, m^2-ის გამო, უარს არ ვეუბნებოდით. ამ გამიჯვნის შემდეგ კი, ამაში მოსახლეობაც დარწმუნდება და კომპანიებიც. ეს გადაწყვეტილება, კორპორატიული მართვისა და გამჭვირვალობის კუთხით, ვფიქრობ, დადებითია. გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ ჩვენთვის საბანკო საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია და არ გვინდა, ბანკის განვითარებას ხელი შეუშალოს ინვესტიციების განხორციელებამ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული ინვესტიციები, საკმაოდ წარმატებული იყო და ჰოლდინგიდან, ამ ტრადიციას გავაგრძელებთ კიდეც.

— „საქართველოს ბანკმა“ ცოტა ხნის წინ „პრივატბანკი“ იყიდა. რამდენად მნიშვნელოვანია ეს შენაძენი ბანკისთვის?

— დიახ, არც ისე დიდი ხნის წინ, უკრაინულ „პრივატბანკთან“ გაფორმდა შეთანხმება მისი ქართული შვილობილის — სს „პრივატბანკის“ (მთლიანი აქტივების მიხედვით საქართველოში სიდიდით მე-9 ბანკი) 100% აქციების შესყიდვის შესახებ. „პრივატბანკის“ შეძენა შესაძლებლობას მისცემს „საქართველოს ბანკს“, უფრო გაამყაროს წამყვანი პოზიცია საცალო საბანკო მომსახურების მიმართულებით. ვფიქრობთ, სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც საკრედიტო ბიზნესის, ასევე გადახდის კუთხით.

— აპირებთ თუ არა „პრივატბანკის“ ფილიალების დახურვას ან ოპტიმიზაცია რა ფორმით მოხდება?

— ჩვენი სტრატეგია ზრდაა. გვინდა, უფრო გავაფართოვოთ ქსელი, მეტი კლიენტი მოვიზიდოთ. ფილიალების დახურვას არ ვგეგმავთ, უბრალოდ მოხდება მათი ცვლილებები და რებრენდინგი.

— არც „პრივატბანკში“ დასაქმებულ ადამიანებს ემუქრება სამსახურიდან გათავისუფლება?

— გაისად დაგეგმილი გვაქვს 550 ახალი თანამშრომლის აყვანა. შესაბამისად, გარედან აღარ მოვიყვანთ კადრებს და „პრივატბანკის“ თანამშრომლებს შევთავაზებთ პირველ რიგში.

— ხომ არ შეიცვლება რაიმე პირობები „პრივატბანკის“ სხვადასხვა პროდუქტზე?

— ამ ეტაპზე პირობები არ იცვლება. „პრივატბანკს“ საკმაოდ საინტერესო პროდუქტები ჰქონდა, რომლებიც, ჩვენი აზრით, უნდა გაგრძელდეს და უფრო მეტი უნდა გაიყიდოს. ვფიქრობ, კლიენტების მდგომარეობა გაუმჯობესდება, რადგან წვდომა მეტ პროდუქტზე ექნებათ — „პრივატბანკის“ კლიენტს აქვს ერთი ან ორი პროდუქტი მაშინ, როცა „საქართველოს ბანკი“ მომხმარებელს 30-მდე სხვადასხვა პროდუქტს სთავაზობს.

— არაერთხელ ითქვა, რომ „პრივატბანკის“ ბევრ მომხმარებელს ჰქონდა პრობლემური სესხი. რეალურად რამდენად ხარისხიანია ამ ბანკის სასესხო პორტფელი?

— „პრივატბანკს“ დაახლოებით 400 ათასი კლიენტი ჰყავს. მათგან დაახლოებით 120 000 პარალელურად ჩვენი მომხმარებელიცაა. ანუ, მათი სასესხო პორტფელის ხარისხი მაღალია. შეიძლება ასეთი იმიჯი მართლაც შეიქმნა, მაგრამ რეალურად, რაოდენობრივად, 400 ათასიდან 120 ათასი მაღალი ხარისხის სასესხო პორტფელის მქონე მომხმარებელი, ძალიან მნიშვნელოვანი რიცხვია. ამით იმის თქმა მინდა, რომ „პრივატბანკის“ მომხმარებლების სასესხო ხარისხი, ჯამში, საკმაოდ მაღალია.

სამომავლო გეგმებზე ისაუბრა „საქართველოს ბანკის“ მომავალმა გენერალურმა დირექტორმა **მურთაზ კიკორიამ**, რომელმაც განმარტა, რომ თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ, ბანკში ფუნდამენტურ ცვლილებებს არ გეგმავს: **„საქართველოს ბანკი“ თავის სტრატეგიას და კურსს გააგრძელებს. სადაც იქნება ჩვენი, როგორც წამყვანი და წარმატებული ძალის ადგილი და როლი, აუცილებლად იქ ვიქნებით ყოველთვის. ჩვენგან სიახლეებს ყოველთვის უნდა ელოდეთ“.**

ნინო ლურსმანაშვილი

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge